პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს
ყოველკვირეული ორგანო

№ 10, პარასკევი, 24 დეკემბერი, 1943 წელი. ფასი 1 მანეთი.

დღეს ნომერში:

— ჰიტლერელი ყაჩაღები საბჭოთა ხალხის სამსჯავროს წინაშე (მოწინავე).
— საბჭოთა კავშირის ჰიმნი.
— **ალექსანდრე აბაშელი** — ერთი ხე იდგა მაღლობზე (ბალადა).
— **გიორგი ნატროშვილი** — პოემა კავკასიის დაცვის გმირებზე.
— **კონსტანტინე ლორთქიფანიძე** — ქართველები ბრძოლის ელზე.
— **ილია ერენბურგი** — მწერლის მოვალეობა.
— **სერგო კლდიაშვილი** — ჩვენი მარადი თანამგზავრი.
— **დემნა შენგელაია** — სიცოცხლის მომღერალი.
— **სურენ ავჩიანი** — ალექსანდრე ყაზბეგი სომხურ ენაზე.
— **ვახტანგ ბერიძე** — ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი.



საზენიტო ქვემეხი. ლინოგრავიურა მხატ. ნ. ჩერნიშკოვისა.

ჰიტლერელი ყაჩაღები საბჭოთა ხალხის სამსჯავროს წინაშე

მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს ხარკოვის პროცესს. უკრაინის მეოთხე ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის წინაშე, საბჭოთა ხალხის სამსჯავროს წინაშე პირველად წარსდგა სამი გერმანელი, რათა პასუხი ეგოთ იმ საზარელ ბოროტმოქმედებათათვის, რომლებიც ქ. ხარკოვსა და ხარკოვის ოლქში ჩაიდინეს ფაშისტ გერმანელმა დამპყრობლებმა და რომელთა მსგავსიც არ ახსოვს სისხლის სამართლის დანაშაულობათა ისტორიას. ყოველსავე იმას, რაც დამნაშავეებმა თავათ აღიარეს, ვერ ურიგდება ადამიანის გონება, ადამიანის სინიდისი. ჭეშმარიტად სიტყვა უძლურია გამოსთქვას ის აღშფოთება და შეძრწუნება, რომელიც ჩვენ გვიპყრობს, როცა ვისმენთ ამ ავაზაკთა გულცივ ცინიკურ მოთხრობას საკუთარ და თავიანთ „თანამოძმეთა“ უმსგავსოების შესახებ. მხოლოდ მხეცზე დაბლა დაცემულ ადამიანებს შეეძლოთ ჯერ მოემოქმედათ და შემდეგ ასე უტიფრად, ასე თავხედურად, ნამდვილი სადისტური გულახდილობით ელაპარაკათ სისხლის გამყინავ თავიანთ ბოროტმოქმედებებზე. მხოლოდ ობერბანდიტების — ჰიტლერის, ჰიმლერის, როზენბერგის — ყაჩაღურ სკოლაში აღზრდილ არამზადებს შეეძლოთ ხმა არ ათრთოლებოდათ იმ წუთებში, როცა ისინი აღიარებდნენ, თუ რა დაუნდობლად ხვრეტდნენ ისინი ღრმა მოხუცებს, მამაკაცებსა და ქალებს, მოზარდებსა და ჩვილბავშვებს, თუ როგორ სწვავდნენ ავადმყოფებით სავსე ჰოსპიტლებს, როგორ აფლეთინებდნენ ქოფაკ ძაღლებს ტყვე წითელარმიელებს, როგორ ასობით და ათასობით სწამლავდნენ „დუშეგუბკებში“ ადამიანებს, სწვავდნენ და დაუნდობლად სპობდნენ მათ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საბჭოთა ადამიანები იყვნენ.

ხარკოვში ჩატარებულმა პროცესმა ცხადჰყო, რომ ის შემაძრწუნებელი დანაშაულებანი, რომლებიც ფაშისტ არამზადებმა ჩვენს მიწა-წყალზე ჩაიდინეს, ცალკეული გახრწნილი სამხედრო პირის თაოსნობა როდი იყო. დანაშაულობათა კვალს ბერლინისკენ, ობერ-ჯალათის ჰიტლერის რეზიდენციისკენ მივყევართ. პროცესზე გამომჟღავნებული და დადასტურებული თითოეული ბოროტმოქმედება არის შედეგი მთელი იმ ყაჩაღური ღონისძიებების სისტემისა, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხების, პირველ ყოვლისა რუსების, ბელორუსების და უკრაინელების აღგავას პირისაგან მიწისა და მათ მოქცევას გერმანელ ბანდიტთა უღელქვეშ. ჯერ კიდევ ამ პროცესამდე ბევრად ადრე უამრავი დოკუმენტით, ცნობილი იყო საბჭოთა ადამიანებისათვის, რომ გერმანელი ფაშისტი ჯარების დანაშაულობანი საბჭოთა ტერიტორიაზე წარმოადგენდნენ არა ცალკეულ იზოლირებულ ფაქტებს, არამედ რგოლებს იმ ბოროტმოქმედებათა დიდი ჯაჭვისას, რომლებსაც ჩადიოდენ და ჩადიან გერმანელი დამპყრობლები გერმანიის მთავრობის და გერმანიის უმაღლესი სარდლობის პირდაპირი მითითებით და ბრძანებით, ხარკოვის პროცესმა ეს ფაქტები ნათლად გამოარკვია და ურყევად დაამტკიცა. ფაშისტი გერმანელი არამზადების მიერ დროებით დაკავებულ ადგილებში გაზის ავტომობილების „დუშეგუბკების“ მასობრივი გამოყენება, როგორც ეს ხარკოვის პროცესზე მოწმედ გამოსულმა ბანდიტმა ჰაინიშმა განაცხადა, ხდებოდა და ხდება ფაშისტური ბანდის პირსისხლიანი მეთაურის ჰიტლერის პირდაპირი მითითებით.

ამგვარად, ხარკოვის პროცესზე ირჩეოდა არსებითად არა სამი ბანდიტი გერმანელის საქმე, არამედ მთელი ჰიტლერული გერმანიის კაციჭამიური პოლიტიკა. „პროცესზე გამომჟღავნებული მხეცური დანაშაულებანი, — აღნიშნავს „პრავდა“, — არაგერმანელ ხალხთა გაჟლეტის ყაჩაღური კაციჭამიური პოლიტიკის გამოხატულებაა. ეს როდია ცალკეული გამხეცებული გერმანელების სადისტური ექსცესები. ეს პროგრამაა, ეს ჰიტლერიზმია მოქმედებაში“.

ამ პროგრამის სამი გამტარებელი, პირველი სამი გერმანელი ყაჩაღი, რომელიც გერმანელი ხალხის სამ სხვადასხვა თაობას ეკუთვნის და რომელთაგან თვითოეული ჰიტლერული მეთაურებისგან არის გახრწნილი, ხარკოვის პროცესზე წარსდგა საბჭოთა სასამართლოს წინაშე, და სამივემ მიიღო დამსახურებული განაჩენი — სიკვდილი ჩამოხრჩობით.

ეს ამშვიდებს საბჭოთა ადამიანის აღშფოთებულ სინიდისს, რადგან ყოველი ჩვენგანი დარწმუნებულია, რომ ხარკოვის პროცესი არის დასაწყისი იმ გრანდიოზული განკითხვისა, რომელსაც საბჭოთა ხალხი, მისი ძლევამოსილი არმია, თავისუფლების მოყვარე ხალხები ამზადებენ გერმანელი ჯალათებისათვის. შორს არ არის ის დღე, როცა მსოფლიოს ხალხები მათ თავზე აღასრულებენ თავიანთ მართლმსაჯულებას — სტალინის, რუზველტის და ჩერჩილის ისტორიულ განცხადებას იმის შესახებ, რომ ხალხების შურისმგებელი ხელი მონახავს ყველა დამნაშავეს თვით დედამიწის კიდეშიც-კი, რომ ვერც ერთი მათგანი ვერსად ვერ იპოვნის თავშესაფარს, ვერ გაექცევა იმ ქვეყნის სასამართლოსა და კანონებს, სადაც მათ თავიანთი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს.

დეე, ხარკოვის პროცესმა, ამ პროცესზე გამომჟღავნებულმა და დადასტურებულმა სისხლის გამყინავმა ბოროტებამ გაამძაფროს ჩვენში, — ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებში, — წმინდა სიძულვილი გერმანელ ფაშისტ ავაზაკებისადმი. დეე, ჩვენ მიერ თქმული ყოველი სიტყვა, ჩვენ მიერ დახატული ყოველი სურათი, ჩვენ მიერ შექმნილი ყოველი ჰანგი, ჩვენ მიერ გამოკვეთილი ყოველი სახე საბჭოთა ხალხს მოუწოდებდეს უმკაცრესი, დაუნდობელი შურისგებისაკენ, ვერაგ მტერთან ანგარიშის სასტიკ გასწორებისაკენ. დეე, ჩვენმა საქმიანობამ დააჩქაროს ის სასჯელი, რომელსაც საბჭოთა ხალხი უმზადებს ჩვენი პლანეტის უმსგავსოებასა და სიბილწეს — ჰიტლერულ გერმანიას.

კიევის აკადემიურმა თეატრებმა განაახლეს მუშაობა

კიევი თანდათან იშუშებს იმ მძიმე ჭრილობებს, რომლებიც მის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას მიაყენეს გერმანელმა დამპყრობლებმა. მუშაობა განაახლეს მრავალმა სკოლამ, სამკურნალო დაწესებულებამ, კინოთეატრმა. 10 დეკემბრიდან, ოკუპანტთა განდევნის შემდეგ, კიეველებს თავიანთ პირველ დადგმებს უჩვენებენ ოპერის და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი და უკრაინული და რუსული დრამის თეატრები.

ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“ მცირე თეატრის სცენაზე

მოსკოვის მცირე თეატრმა დეკემბრის შუარიცხვებში პირველად დასდგა ბერნარდ შოუს ცნობილი პიესა „პიგმალიონი“. მოსკოვის გაზეთების ცნობით, სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. განსაკუთრებით კარგად შეასრულეს თავიანთი როლები დ. ზერაკალოვამ (ელიზა), კ. ზუბოვმა (პროფესორი ხინგნისი) და ე. ტურჩანინოვამ (მისის ხინგნისი) სპექტაკლი დასდგა კ. ზუბოვმა, დეკორატიულად გააფორმა მხატ. ვ. კოზლინსკიმ.

უზბეკური ხელოვნების და ლიტერატურის საღამო

დეკემბრის შუა რიცხვებში მოსკოვში გაიმართა უზბეკური ლიტერატურის და ხელოვნების დიდი საღამო — მონაწილეობა მიიღეს ლიტერატურის და ხელოვნების უზბეკელმა მოღვაწეებმა და მოსკოვის თეატრების იმ არტისტებმა, რომლებიც სამამულო ომის დღეებში უზბეკისტანში მუშაობდნენ.

1942-43 წლის სეზონის საუკეთესო კინორეჟისორი

ნიუ-იორკის ჟურნალი „ფილმ-დეილი“ იტყობინება, რომ ამერიკელ ხელოვანთა წრეების დაკითხვის, გაზეთებსა და ჟურნალებში ჩატარებული განხილვის შედეგად 1942-43 წლის სეზონის საუკეთესო კინორეჟისორად ცნობილი იქნა მ. კერტიზი, დამდგმელი ფილმისა „მისია მოსკოვში“.

ოპერა „ბორის გოდუნოვი“ ნიუ-იორკში

„მეტროპოლიტენ-ოპერის“ მთავარ დირექტორის ედვარდ ჯონსტონის ცნობით, ამ თეატრში სეზონი გაიხსნა მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვით“; ტრადიციულად ეს თეატრი სეზონს ყოველთვის იტალიური, ფრანგული ან გერმანული ოპერით ხსნიდა.

პოემა კავკასიის დაცვის გმირებზე

მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ისეთი დიდი ბრძოლები, როგორიც ვოლგის მიდამოებმა და კავკასიის მისასვლელებმა იხილეს. საბჭოთა სამშობლოს შვილებმა აქ გამანადგურებლად დაჰკრეს გერმანელების შეჯავშნულ ურდოებს; საბჭოთა იარაღის ბრწყინვალე წარმატება აქ უზრუნველჰყო გენიალურმა სტალინურმა სტრატეგიამ, საბჭოთა ხალხების სტალინურმა მეგობრობამ, საბჭოთა პატრიოტების სიმამაცემ და თავგანწირულებამ. ამ ბრძოლების წინაშე იჩრდილება არა მარტო კანნის სახელგანთქმული ალყა, რომელიც სამხედრო ხელოვნების უმაღლეს მწვერვალად მიაჩნდათ, არამედ ყოველი ბრძოლა, რომელიც ოდესმე გამართულა ძველსა თუ ახალი საუკუნეების განმავლობაში.

მთელი საბჭოთა ხელოვნების უპირველესი ამოცანაა დაგვიხატოს, შთამომავლობისათვის უკვდავჰყოს ამ გრანდიოზული ბრძოლების სურათი, გვიჩვენოს იმ ადამიანების სახე, რომელთა ნათელ გონებას და ვაჟკაცურ მარჯვენას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის, ჩვენი კულტურის დაღუპვისაგან გადარჩენის გამო.

ქართველი საბჭოთა მწერლები გატაცებით მუშაობენ ამ თემაზე. ამ ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის პირველი ნაყოფი არის გრიგოლ აბაშიძის ახალი პოემა „ძლევის ქედი“, ეს პირველი ვრცელი ტილოა, რომელშიაც პოეტმა სცადა კავკასიონის კალთებზე გამართული ბრძოლების ფონზე გადმოეცა სული იმ თაობისა, იმ სტალინური მოდგმისა, რომელმაც თავისი მკერდით გადაუღობა გზა დასავლეთიდან შემოჭრილი ბარბაროსების ურდოს; და არა მარტო გზა გადაუღობა, არამედ უკუაქცია და დაამარცხა კიდევაც. ამ დიდ ბრძოლებში დიდი რუსი ხალხის შვილებთან ერთად, მათთან მხარდამხარ, საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, თავი ისახელეს ქართველებმა. საბჭოთა ხალხები, რომელნიც მშვიდობის დროს ერთად იყვნენ, განსაცდელში კიდევ უფრო შემჭიდროვდნენ და ფოლადის კედლად აღიმართნენ, გადაულახავ ზღუდედ დადგნენ ფაშიზმის მღვრიე, ბინძური ტალღის წინაშე.

აი ამ ფონზე შლის გრიგოლ აბაშიძე თავისი ახალი პოემის სიუჟეტს.

ეს არ იყო ადვილი ამოცანა. პოეტს უნდა დაეხატა ბრძოლის ველი, სადაც ჯერ სისხლი არც კი ამშრალა. გრიგოლ აბაშიძემ წარმატებით დაძლია ეს ამოცანა. და ეს შესძლო მან იმიტომ, რომ იგი მდიდარი შინაგანი ფსიქოლოგიური ქვეყნის და მგზნებარე ფანტაზიის პოეტია. ის იმავე დროს არის ლექსის უკეთესი ოსტატთაგანი, რომელიც უკვე ადვილად და იოლად იმორჩილებს სიტყვას. არიან პოეტები, რომელთაც უფრო მეტი სიტყვები აქვთ, ვიდრე აზრები; ჩვენის აზრით, გრ. აბაშიძე არ ეკუთვნის ასეთი პოეტების კატეგორიას. მას ჰყოფნის სალებავები ეპოქის დიად აზრთა და მოწოდებათა გადმოსაცემად. სწორედ ამ წინაპირობებმა, შემოქმედებითი მონაცემებმა უზრუნველჰყვეს მისი პოემის წარმატება.

პოემა დაწერილია დიდი ექსპრესიით. აქ ომის შფოთსა და ზარდამცემ მტეხიარობაში ნაჩვენებია გამძლეობის, სიძნელეთა დათრგუნვის, ტანჯვის გადატანის და ვაჟკაცობის, — შეიძლება ითქვას, ფანტასტიური სინამდვილე. პოეტმა გვაჩვენა საბჭოთა ადამიანების არა მარტო ფიზიკური, არამედ ზნეობრივი გმირობაც. მან გვაჩვენა, რომ ომისა და განსაცდელის ჯოჯოხეთი მაინც ვერ ჰხრის, ვერ მოჰგლუნავს საბჭოთა ადამიანს. ის იქ, ბრძოლის ველზეც ისევე მაღალია სიყვარულშიც და მეგობრობაშიც, როგორც იყო ყოველთვის. სწორედ ამიტომ არის, რომ პოემაში სამშობლოს სიყვარულთან ერთად მთავარ მოტივებად სჩანან მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობები, ისევ გაუბზარავად სჩანს, მიუხედავად მრავალი მწვავე გამოცდისა, საბჭოთა ახალგაზრდობის ფსიქოლოგიური ფორმიანობა.

„ძლევის ქედის“ პირველი ტაეპებიდანვე იგრძნობა პოეტური აზრისა და გრძნობის სიმწიფე და სისავსე, სჩანს კარგი მხატვრული ხედვა, და წარმოდგენის სინათლე. დასაწყისშივე თვალში გვეცემა თოვლის თეთრ სამოსელში ჩაცმული მწვერვალები კავკასიონისა, მარადისობის ფიქრებში გართულნი ჩაშტერებიან ისინი შავბნელ ხეობებს, და, აი, უცებ ირღვევა მათი მარადიული დუმილი, კავკასიონის კალთებზე პირველად დაიგრიალებენ ქვემეხები. ირემი წააწყდება ნალმს მთის ბილიკზე, ჩქარა მებრძოლებიც ჩნდებიან, მოდიან ისინი შეჭურვილნი, ბრძოლისათვის მომზადებულნი. თითქოს ქალარა კავკასიონიც იღვიძებს, და მტრის დასახვედრად ხიმტების ჯაგარს აიშლის:

„და ვით ჩვენება ძველთა ხევსურთა
გამაპობელი ორად ურჩხულის
კავკასიონი ცეცხლში შეცურდა
შუბ გაწვდილი და ფარდაბლუჯული“.

ეს არის პირველი სურათი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ჰქმნის მთელი პოემის ტონს. ეს თითქოს თვით ქვეყნის სიმბოლოა, რომელიც შუბგაწვდილი და ფარდაბლუჯული სდგას მტრის დასახვედრად. ეს მარად თავისუფლებისმოყვარე საქართველოს სიმბოლოა, რომლის შემდგომი კონკრეტიზაცია, უფრო ხორცშესხმული ჩვენება ხდება პოემის მთავარი გმირის, გიორგის სახით. თვით გიორგიც განზოგადოებული სახეა იმ საბჭოთა ახალგაზრდობისა, რომელიც უმალ უკანასკნელ კაცამდე გაწყდება, ვიდრე გერმანულ დივიზიებს გამოუშვებს იმ მიწაზე, სადაც მისი აკვანი დარწეულა, სადაც მამაპაპის კუბოს ფიცარი ეგულება.

და იმავე დროს გიორგის სახით ჩვენს თვალწინ არის ქართული, ნაციონალური ხასიათი. „ძლევის ქედი“ ფართო პერსპექტივის პოემაა, ამიტომ პოეტმა მასში შესძლო შორეული ხილვით დაენახა ის იდუმალი ძაფები, ის ტრადიციები, რომელიც დღევანდელ თაობას გმირულ წარსულთან აკავშირებს. პოეტმა მონახა ის ფესვები საბჭოთა ადამიანების მოდგმის გამძლეობისა, რომელნიც ღრმად არიან გადგმულნი გარდასულ საუკუნეების წიაღში. საქართველომ დასაბამიდანვე შეჰქმნა საუცხოვო ტრადიცია ვაჟკაცური თავგანწირულებისა. ამ ამაღლებულ გრძნობას უმღეროდნენ ლექსებში, მას ეტრფოდნენ ოცნებებში, ამ გრძნობით შთაგონებულნი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდნენ სამშობლოს. ეს ტრადიცია გადმოეცა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს. გრ. აბაშიძის პოემის კონცეპცია სწორედ ამ მემკვიდრეობითობაზეა დამყარებული. მან, როგორც უკეთესი ტრადიცია, გვიჩვენა ერთის მხრივ ვაჟკაცური შემმართებლობა და სიძულვილი მტრისადმი, მეორეს მხრივ ქალთა სინაზე და სიყვარული სამშობლოს ვაჟკაცებისადმი.

მაგრამ პოეტი არ ეწევა უბრალო სტილიზაციას, მისი გმირების მკერდში ახალი სული სცოცხლობს. ესენი სრულიად ახალი ადამიანები არიან, მაგრამ ღირსეული მემკვიდრენი დიდი წინაპრებისა. შემთხვევითი როდია, რომ პოემაში, რომელიც ჩვენი დღეების ამბავს მოგვითხრობს, ასე ხშირად ისმის წარსულის სახელები, რომ აქ ჩნდება ვახტანგ გორგასლანიც, აქ სჩანს სამასი არაგველის აჩრდილიც, აქ სჩანს თამარ მეფეც — თმაჩამოშლილი და ფეხშიშველი, რომ ლოცულობს საქართველოს სახსნელად ბასიანის ველზე.

ასე ახლებურადაა შემობრუნებული ისტორიული სახე და ორგანიულად ჩაქსოვილია საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლის იდეაში. ეს არის გმირის ჩვენება კავკავთან ბრძოლის წინ, როცა წყდებოდა ბედი ჩვენი ქვეყნისა, საქართველოს არსებობისა.

პოემის მთავარი გმირი მეორე სურათში ჩნდება. მას ვხედავთ ომის დროის თბილისის ჩაბნელებულ ქუჩაზე, ის ფრონტიდან დაბრუნებულია და კვლავ ფრონტზე მიდის. გამოჩენისთანავე ის სრული სახით სდგება ჩვენს თვალწინ მხარზე ავტომატით და მტვერში დასვრილი ფარაჯის კალთებით.

შემდეგ პოეტი გვაცნობს მის შინაგან სამყაროს, ჩვენ მას ვხედავთ მშვიდობის წლებში, როცა ის მოსკოვში სწავლობს, ვხედავთ მას ბრძოლაში, ვხედავთ სიყვარულში, ვხედავთ შრომაშიც. პოეტმა შესძლო დაეცვა ხასიათის მთლიანობა, მისი გმირი მონოლიტური ადამიანია, ერთნაირად მიმზიდველი, მაშინაც როცა უზარმაზარ წიგნთა ტომებს უზის ლენინის ბიბლიოთეკაში და მაშინაც, როცა ვაზნებს აწყობს ავტომატის დისკებში მიხაკისფერი კალიის ამოსაწყვეტად.

პოემაში მთავარი გმირი — გიორგი — ჩნდება უკვე ბრძოლის ცეცხლში მონათლული და გამობრძმედილი. მას უკვე უკან მოუტოვებია მძიმე ბრძოლები, უკანდახევის დღეები, ალყის სიმწარე და ათასი სხვა ჭირ-სახდიელი. განსაკუთრებით კარგად არის გადმოცემული ერთი მუჭა საბჭოთა მებრძოლების შეუპოვარი ბრძოლა მტრის გარემოცვაში. აქ პოეტმა გვიჩვენა როგორ იზრდება სული ადამიანისა ტანჯვაში, გვიჩვენა რა მტკიცე და ურღვევია ფრონტელთა მეგობრობა.

ჩვენის აზრით, ყველაზე უძლიერესი ადგილი პოემისა არის სურათი განგაშისა თბილისში. აქ ასახულია ის დღეები, როცა დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი, ქართველი ხალხის საყვარელი შვილი ამხანაგი ლავრენტი ბერია, როგორც ყოველთვის, განუხრელად ასრულებდა რა დიდი სტალინის ნება სურვილს, რაზმავდა კავკასიის ხალხთა ძალებს მტრისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. ამხანაგი ლავრენტი ბერია ჩამოვიდა საქართველოში მძიმე განსაცდელის დღეებში და უზრუნველჰყო კავკასიის მისადგომებთან გერმანელთა განადგურების სტალინური გეგმის განხორციელება. ეს ისტორიული მომენტი საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში პოეტმა მძაფრი ფერადებით გადმოგვცა და დაგვიხატა:

პოემაში ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა ქართველი ქალის სახეც. ის გიორგის სატრფოა, გრ. აბაშიძის პოეტურ ნაწარმოების სიუჟეტში და მოქმედებაში მას ფრიად მნიშვნელოვანი როლი აქვს დათმობილი. განსაკუთრებით მძაფრად და ნათლად არის დახატული სურათი მისი ტრაგიკული დაღუპვისა ბრძოლის ველზე, როცა მას დაჭრილი მეომარი გამოჰყავს. ამ სიკვდილის აღწერაში, საყვარელ ადამიანთან უკანასკნელ და სამუდამო გამოთხოვებაში არის სულის რაღაც განუზომელი სევდა, სიკვდილზე უფრო მწარე ტკივილი; აქ არც ცრემლია, არც გოდება, არის მხოლოდ ჩუმი და უნაზესი სევდა. ეს ჩვეულებრივი ფანტაზიით მიუწვდომელი ტკივილი სულისა პოეტმა შეუდარებელი ოსტატობით გადმოგვცა.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ მიმდინარე წლის მეხუთე ნომერში ამხ. ბეს. ჟღენტი არჩევდა რა გრ. აბაშიძის პოემა „გიორგი მეექვსეს“ სამართლიანად მიუთითებდა ავტორს, რომ მან პოემაში გმირთა რომანტიული ურთიერთობა, სიყვარული არ დაუქვემდებარა პატრიოტულ იდეალს. პოემა „ძლევის ქედზე“ ეს აღარ ითქმის. გრ. აბაშიძემ აქ ეს საკითხიც ახლებურად გადასჭრა. მან აქ ერთ ლოგიკურ მთლიანობაში გადმოგვცა გმირთა ინტიმური განცდანი და საზოგადოებრივი მისწრაფებანი, „ძლევის ქედში“ გრ. აბაშიძემ რომანტიული სიუჟეტი სამამულო ომის სინამდვილის, მისი ვითარების სიმართლით ასახვის და ათვისების ამოცანას შეუთანხმა და დაუმორჩილა. ამან ცხადია უფრო მეტად გააძლიერა იდეური და მხატვრული ღირსება გრ. აბაშიძის ახალი პოემისა.

იყო საშიშროება, რომ თემის სიდიდის გამო პოეტი გაჰყვებოდა მხოლოდ მთავარ ფერებს, ხოლო ნიუანსებს დაივიწყებდა. ეს არ მოხდა, გრ. აბაშიძემ ერთ მხატვრულ მთლიანად შეათავსა ყველა მხარე ახალგაზრდა ადამიანის ცხოვრებისა. ცხადია, ჩვენ არ გვინდა იმისი თქმა თითქოს პოემა სავსებით უნაკლო იყოს. შეიძლებოდა ცალკე ეპიზოდების უფრო მჭიდროდ შეკვრა, გადასვლების მეტი ორგანიულობა და სხვ. ყველა ამის მიუხედავად ნათელია, რომ გრ. აბაშიძის პოემა კავკასიის დაცვის თემაზე ნამდვილი დიდი სტილის, ჭეშმარიტი პოეტური ოსტატობის საუცხოვო ნიმუშია. ეს არის ფართო ტილო, რომელზედაც მკაფიოდ დახატულია ახალგაზრდა ადამიანი სტალინური ეპოქისა, დახატულია როგორც სიმბოლო და სახე მარადი სიჭაბუკისა და ვაჟკაცობისა, სიყვარულისა და სამშობლოსადმი ტრფიალებისა.

გ. ნატროშვილი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის ახლანდელი სახელმწიფო ჰიმნი „ინტერნაციონალი“ თავისი შინაარსით არ ასახავს იმ ძირფესვიან ცვლილებებს, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა საბჭოთა წყობილების გამარჯვების შედეგად, და არ გამოხატავს საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტურ არსს, — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ გადასწყვიტა შესცვალოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი ახალი ტექსტით, რომელიც თავისი შინაარსით შეესაბამება საბჭოთა წყობილების სულსა და არსს.

დამტკიცებულია ახალი სახელმწიფო ჰიმნის შემდეგი ტექსტი:

საბჭოთა კავშირის ჰიმნი

(ტექსტი სერგეი მიხალკოვისა და ელ-რეგისტანისა)

Союз нерушимый республик свободных
Сплотила навеки Великая Русь.
Да здравствует созданный волей народов,
Единый, могучий Советский Союз!

Славься, Отечество наше свободное,
Дружбы народов надёжный оплот!
Знамя советское, знамя народное
Пусть от победы к победе ведёт!

Сквозь грозы сияло нам солнце свободы,
И Ленин великий нам путь озарил.
Нас вырастил Сталин — на верность народу,
На труд и на подвиги нас вдохновил.

Славься, Отечество наше свободное,
Счастья народов надёжный оплот!
Знамя советское, знамя народное
Пусть от победы к победе ведёт!

Мы армию нашу растили в сраженьях,
Захватчиков подлых с дороги сметём!
Мы в битвах решаем судьбу поколений,
Мы к славе Отчизну свою поведём!

Славься, Отечество наше свободное,
Славы народов надёжный оплот!
Знамя советское, знамя народное
Пусть от победы к победе ведёт!

ახალი სახელმწიფო ჰიმნისათვის მიღებულია კომპოზიტორ **ა. ვ. ალექსანდროვის** მუსიკა.

ჰიმნის მუსიკის ნოტები ცალკე გამოქვეყნდება.

ახალი სახელმწიფო ჰიმნის საყოველთაო შესრულება შემოღებული იქნება 1944 წლის 15 მარტიდან.

ერთი ხე იდგა მაღლობზე

ალექსანდრე აბაშელი

(ბალადა)

ზვავებით ნაგლეჯ ლოდებში,
კლდე-დარიალის კარებთან,
სადაც ბილიკი ადვილად
ჯიხვსაც ვერ გაატარებდა,
ერთი ხე იდგა მაღლობზე,
კლდეებში ამოშვერილი,
გადასცქეროდა შორ მანძილს
ყელმოღერებულ შველივით.

ბილიკს ამოჰყვა ვაჟკაცი,
ხეზე აიჭრა შავარდნად,
მწვანე ფოთლებში იმ წამსვე
სამჯერ ზედიზედ გავარდა.
სროლის ხმის გამოძახილმა
ჩაიგრიალა ხევებში.
სამი დაეცა მურტალი
შორი გზის მოსახვევებში.

ხე იდგა კლდეზე კლდესავით,
ყაჩაღებს კარს არ უღებდა,
რამდენიც გამოჩნდებოდა,
იმდენჯერ დაიქუხებდა.
ტოტებში თოფი გრგვინავდა,
ფოთლებში კვამლი ჰბოლავდა,
ხე და ვაჟკაცი შეერთდნენ
მტრის რაზმის ჩასაქოლადა.

გამაგრდი, ხეო, გამაგრდი,
ლომი ხარ ვეფხვის ძმობილი,
შენ დაიფარე ვაჟკაცი,
შენს ტოტებს გადაჭდობილი.
განა მარტო ხარ! ამ მთებში
შენებრ მებრძოლი სხვაც არი.
ზღაპრად დარჩება ქვეყანას
ეგ შენი ნამოღვაწარი.

ხე იდგა კლდეზე კლდესავით,
ყაჩაღებს კარს არ უღებდა,
რამდენიც გამოჩნდებოდა,
იმდენჯერ დაიქუხებდა.
იბრძოდა კვამლში ჩამდგარი
თავგამეტებით, ალგზნებით.
ბოლოს უეცრად დადუმდა:
თოფს გაუთავდა ვაზნები.

მაშინ იმხუვლა მტრის ურდომ,
ააზანზარა კლდე-კარი,
შავად გამოჩნდა ჰაერში
სვავი სვავურად მყეფარი,
ხეს მიაშურა ყივილით,
დაესხა გაბოროტებით,
მეხი ჩაუგდო ფუძეში,
შემოალეწა ტოტები.

ცეცხლმა ფოთლები შეტრუსა,
დასწვა ფაფარი აშლილი.
ხის ძმად ნაფიცი ვაჟკაცი
ძირს ჩამოვარდა დაჭრილი.
ამ დროს ცამ დაიგრიალა,
და სვავსაც ფრთები დაეწვა —
ალმოდებული მფრინავი
იმავ ხის ახლო დაეცა.

მაშველი ჯარი მოვიდა,
მტერს ტყვიის ცეცხლი აწვიმა,
სვავი გაფატრა მოსისხლე
თვალანთებულმა არწივმა.
კლდეზე აჩქამდა ბილიკი,
დევ-გმირთა დანაბიჯები.
მთაზე გადმოდგნენ ყიჟინით
ქართლის ქოჩორა ბიჭები..

ხეო, ქვეყნისთვის ბრძოლაში
ნაცეცხლო, ტანშერუჯულო!
როგორ დაგსეტყვა ვერაგმა,
როგორ დაგმეხა ურჯულომ!
ჩამოგახია ფოთლები,
აბრეშუმივით შრიალა,
შენი ხასხასა რტოები
აიკლო, გაატიალა.

ის შენი თანამებრძოლი
წყლულს მოიშუშებს, ადგება.
შენ ვინ მოგივლის, ბეჩავო,
მკურნალად ვინ დაგადგება?
შენ ვინ დაგადებს მალამოს,
შენ ვინ შეგიხვევს ჭრილობას,
ვინ დაგიბრუნებს წინანდელს
ვაჟკაცურ ტანაყრილობას?

ხეო, ქვეყნისთვის ბრძოლაში
სიკვდილის თვალით მნახველო,
ფიქრს არ მიეცე მწარესა,
გული არ დაინაღველო.
განა სულ ასე იქნები
ხეიბარივით მდგომელი?
ვინ დაკარგულა უკვალოდ
მშობელ მიწისთვის მშრომელი?

მზე შემობრუნდეს შენს თავზე,
შავარდენივით ფრთიანი,
მიწამ გაგიხსნას გულ-მკერდი,
ძუძუ გაწოვოს რძიანი,
წამოდგე წელგამართული,
მიდამოს თვალი შეავლო,
მწვანე ტოტები გაშალო,
ფოთლები ააშრიალო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები ბრძოლის ველზე

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

I

შუაღამისას გატყდა წყლისპირა ყინულის თხელი ბადე და ქართველთა მსუბუქი ნავები ბობოქარ თერგში შეცურდნენ.

მცირეხნის შემდეგ სახელდახელოდ გამართულ ბორნებზე ზარბაზნები შეაგორეს. არავითარი ხმაური და ზედახოცვა. არც დაყოვნება, არც ფუსფუსი ხელმოცარული...

კაცი და რკინა თითქოს ერთხორცად იქცა ამ ხიფათიან ღამეში, — და ჩვენი დესანტი ისე მარჯვედ და ფარულად გავიდა წყალგაღმა, რომ მტერმა გულიც ვერ იხმო, თუ ქართველები იერიშის თადარიგს იჭერდნენ.

კაპიტან ნიკა ამირიძის ბატალიონს ნაბრძანები ჰქონდა, — ხელთ-ეგდო სტანიცა იშჩერსკაია, შემდეგ გასულიყო რკინიგზისა და გზატკეცილის ჯვარედინზე და გერმანელებისათვის მოზდოკისაკენ უკანდასახევი გზები გადაეჭრა.

თერგის მარცხენა ნაპირს რამდენიმე ყორღანი დაჰყურებდა. აქედან იწყებოდა გერმანელთა თავდაცვის პირველი ხაზი. ბრძოლის ბედი ამ ყორღანების უეცარ დაპყრობას უნდა გადაეწყვიტა.

ჯიქური იერიშის მისატანად გრიშა კაკაბაძის ასეული გამოჰყვეს. ამიტომ ყველაზე დიდი დაბრკოლება — ჭაობიანი ღელიანი — ამ ასეულის მებრძოლებმა გადალახეს, სანამ ბრძოლად გაიშლებოდნენ.

ვისაც აქაური ღელიანი და ლიამპალი უნახავს, მხოლოდ იგი გამიგებს, როგორი ამტანი, შეუპოვარი და მამაცი უნდა იყოს კაციშვილი, რომ დეკემბრის ტეხურა ყინვა-ქარში, ამ ღვთისა და კაცისაგან დაწყევლილ სკვარამში სამი-ოთხი კილომეტრი მუხლდაუსვენებლად განვლოს და შემდეგ ასევე მუხლდაუსვენებლად ბრძოლაში ჩაებას.

ღობის ჩიტსაც გაუჭირდებოდა ფრთების გაშლა, ისეთი ხშირი იყო იგი.

ჭაობის ცივი და მძიმე წყალი ალაგ-ალაგ მკერდამდე სწვდებოდა თავით ფეხამდე შეიარაღებულ მებრძოლს; ყინვისაგან სუნთქვა ეკვროდა, ხელფეხი ეყინებოდა, მაგრამ საბჭოთა მეომრის შეუპოვრობას საზღვარი როდის დაუდეს, რომ ეხლა დადებოდა.

მხნედ მიარღვევდნენ ქართველები ჭაობიან ღელიანს. ისინი უეჭველზე მიდიოდნენ: აქედან მტერი ნაკლებ ელოდა ხიფათს.

ამ უძნელეს იერიშზე ქართველებს მიუძღვებოდა შუახანს გადაცილებული, თმაშევერცხლილი კაპიტანი ნიკა ამირიძე, — პირველი მსოფლიო ომის მონაწილე.

იგი პირველად კარპატის მთებში შეხვდა გერმანელ ყაჩაღებს. ახალგაზრდა ქართველი ჯარისკაცი ვაჟკაცურად იბრძოდა რუსთა მხედრობის მხარდამხარ, და იმ ბრძოლებიდან იგი დაბრუნდა, როგორც წმინდა გიორგის ორდენის ოთხივე ხარისხის კავალერი.

სამმა ათეულმა წელმა განვლო მას აქეთ...

დაბრძენებული, ათასგზის ცეცხლში, გამოვლილი მხედარი ნიკა ამირიძე დღესაც მხარში ედგა სამშობლოს დამცველებს და ყაჩაღთა ნაჯიშარებს დღესაც შავ-დღეს აყენებდა.

გამობრძმედილმა ოფიცერმა არა ერთი-და-ორი ძნელი ბრძოლა მოუგო გერმანელებს.

ხშირი გამარჯვების სიხარული ძალღონეს უმრავლებდა მისი ბატალიონის მებრძოლებს, და ისინიც უშიშრად დაჰყვებოდნენ სალაშქროდ საყვარელ კაპიტანს.

...ღელიანი ცივი იყო, როგორც საყინულე, მაგრამ მებრძოლები წინ მიმავალ ამირიძის ჭაღარას რომ ხედავდნენ, ჭაობის წყალი თბილი ხდებოდა თითქოს და ყინვის ქარიც არც-ისე მწარედ იკბინებოდა.

არცერთი ჩამორჩენილი, არცერთი მოყინული... წარამარა ისრესდნენ გათოშილ ხელებს, იზელდნენ პირისახეს, და თუ სადმე საცალფეხო ბილიკზე გავიდოდნენ, გამგელებული აბაკუნებდნენ ფეხებს, რომ ძვალსა და რბილში გამჯდარი სიცივე უკანვე გამოედევნათ.

ასე გალიეს ღელიანი და მშრალზე გავიდნენ.

თოვლის შუქზე ბუნდათ გამოჩნდნენ ჯაჭვისებრ გადაბმული ყორღანები.

მეომრებმა თოფიარაღი გასინჯეს, შინელები გაიწურეს, ტანისამოსი და საჭურველი კარგად მოირგეს, და სანამ იერიშის პირვანდელ ზღუდეს დაიკავებდნენ, არჩილ ზუმბულიძის რაზმი დაზვერვაზე გაგზავნეს.

დილა-ბნელზე ცაში ავარდნილმა მაშხალამ თითქოს ათასი მეხი გამოავლინა თერგის დათოვლილ ქვიშნარებში: ჩვენი ზარბაზნები გერმანელთა თავდაცვის წინა-კიდის დამუშავებას შეუდგნენ. ხშირი და სულმოუთქმელი ცეცხლი გაუჩაღეს ყორღანებს.

უეცარ ცეცხლოვან ქარიშხალში მოხვედრილმა მტერმა ერთი-ორი გასროლა და ჩაჩუმდა: მოწინავე სანგრებში და თხრილებში მყოფი გერმანელები თავშესაფრებში გაიხიზნენ.

მალე არჩილ ზუმბულიძეც დაბრუნდა.

როგორც გამხმარი ქერქი, ისე მოექცია ყინვას მისი სველი ტანისამოსი. მოლიპულ ფერდობებზე ხოხვისაგან ძვალი და რბილი ცალცალკე ჰქონდა; ფეხები თითქოს ხისა ექეთ, ისე მყიფედ ადგამდა ნაბიჯს.

სამაგიეროდ მისი ტუჩების კიმებში მიმალული ღიმილი ამბობდა, რომ მზვერავის იღბალს არც წუხელ ეღალატნა მისთვის.

გულმაგარ ვაჟკაცს ბეჯითად გაესინჯა მიწის ყოველი ნაჭერი, დაერთგან, — მესამე ყორღანის მისასვლელთან — უხვად დანაღმული უბანი აღმოეჩინა.

წუხელ ჩვენმა მესანგრეებმა ხუთასამდე ნაღმი იპოვნეს და ყველას ამოაცალეს სასიკვდილო ნესტარი.

კაპიტან ამირიძეს სჯეროდა, რომ მომავალი ბრძოლის ასპარეზი გაწმენდილი იყო გერმანელთა ნაღმებისაგან. იგი მხოლოდ საარტილერიო მომზადების დასრულებას ელოდა, რომ იერიში დაეწყო.

ზუმბულიძის ცნობა სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა მისთვის. მესამე ყორღანთან ჩაყრილი ნაღმები როგორღაც გამორჩენოდა ადრინდელ დაზვერვას.

ამ გარემოებამ ახალი საზრუნავი გაუჩინა კაპიტანს.

ახლოვდებოდა იერიშის დაწყების დრო.

ასეთ პირობებში ახლად აღმოჩენილი დანაღმული უბნის გარემოვლა ძნელიც იყო და სახიფათოც.

ძნელი იყო, რადგან ამ უგზო ჭაობებში ამირიძე ვერ მოასწრებდა საჭირო მანევრის დროზე განხორციელებას.

სახიფათო იმიტომ იყო, რომ უნისლო დილა თენდებოდა და მტერი ადვილად შენიშნავდა ქართველი მეომრების მოძრაობას, რაც ეგრე ფარულად მომზადებულ იერიშს ყოველი იერიშის მასულდგმულებელ ძალას — მოულოდნელობას — დაუკარგავდა.

იქნებ მესანგრეთა ჯგუფმა მოასწროს მესამე ყორღანის მისასვლელის გაუვნებლება!?

ამირიძემ მყის აწონ-დაწონა ყველა „ჰო" და ყველა „არა", და საეჭვო მანევრის დაწყებას მესანგრეთა გაგზავნა ამჯობინა.

კარგად რომ გათენდა, საბჭოთა ზარბაზნების დაუცხრომელ გრიალში ქართველები ბრძოლად გაიშალნენ. ალაგ-ალაგ ისინი სამას მეტრზე დაუახლოვდნენ მოპირდაპირეს.

ამასობაში ჩვენმა არტილერისტებმა ისე მოშალეს გერმანელთა საომარი წყობა, რომ მტერმა მხოლოდ უწესრიგო, დაუმიზნებელი, ანუ როგორც ჩვენები ეძახიან, „შიშის სროლა" შეაგება ქართველ ქვეითებს.

რამდენიმე გადარბენა და — გრიშა კაკაბაძის ასეულმა, როგორც დათქმული იყო, იერიშის პირვანდელი ზღუდე მესამე ყორღანის პირდაპირ დაიკავა, სწორედ იმ ადგილის მახლობლად, სადაც ეხლა ათიოდე მესანგრე გამგელებული ეძებდა თოვლში ჩაფლულ ნაღმებს.

ეხლა ჩვენი მებრძოლები იმდენად ახლო იყვნენ გერმანელთა თავდაცვის წინა-ხაზთან, რომ გრძნობდნენ, როგორ აცახცახებდა მიწას ჩვენივე ყუმბარების აფეთქება.

მაინც უშიშრად განლაგდნენ ისინი ამ ზღუდეზე, რადგან ენდობოდნენ საბჭოთა არტილერისტების სროლის ხელოვნებას.

მშვიდად და უძრავად იწვნენ ჩვენი ცეცხლოვანი ქარიშხლის მეზობლად.

აგერ საარტილერიო მომზადებაც დასრულდა. ეხლა ყუმბარები გერმანელთა თავდაცვის სიღრმეში შეიჭრნენ.

— წინ! — სთქვა ამირიძემ და მისმა პირველმა ნახტომმა მყისვე წამოაფრინა თოვლში ჩაწოლილი ქართველები.

დაიწყო ქვეითების იერიში.

ერთი გადარბენა მინდორი აშორებდა ქართველებს ყორღანებზე გამაგრებულ მტრისაგან, როდესაც ამირიძეს მოახსენეს, — დანაღმულ უბანში ყველგან ვერ მოვასწრეთ ნაღმების ამოღება. ოციოდე წუთი კიდევ სჭირდება მესანგრეთა ათეულს, რომ ხიფათიანი საქმე მოეთავებინა.

ოციოდე წუთი!

ეს მცირე ხანი სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ თავშესაფრებში მიმალულს და ზარდაცემულ ფაშისტებს საომარი წესრიგი აღედგინათ თავდაცვის წინა-კიდეზე.

გერმანელი ჯარისკაცი ისევ მონახავდა თავის საბრძოლო ადგილს, საიდანაც ეხლახან იგი ჩვენი ბატარიების ქარცეცხლმა ამოაგდო.

სანამ მტერი გონს მოვიდოდა, იერიშის მოგერიების თადარიგს შეუდგებოდა, საბჭოთა მებრძოლები მანამდე უნდა შესეოდნენ ყორღანებს.

ბრძოლის ვითარება ისეთი იყო, რომ ეხლა იერიშის დაყოვნება, თუნდაც ერთი წუთითაც, არამც-თუ შეიწირავდა უმიზნოდ მრავალ სიცოცხლეს, — ფლანგებზე მომქმედ ქვეგანაყოფებსაც გაუძნელებდა საბრძოლო ამოცანის შესრულებას.

არა მარტო კაპიტანი, — ყოველი ჯარისკაცი და მეთაური ცხადზე-უცხადესად გრძნობდა რომ რამდენიმე წუთის შემდეგ გერმანელები სასტიკად დარევდნენ ხელს შუაგზაზე გაჩხერილ საბჭოთა მებრძოლებს.

და მაშინ, ამ დიდი განსაცდელისა და ვაჟკაცობის გამოცდის წუთებში ქართველებში კვლავ გაცოცხლდა დიდგორის მთისა და ასპინძის ველის გმირული სული.

ვეძებ და ვერ მიპოვნია სიტყვა იმგვარი, რომ მათი სულიერი ძლიერების აჩრდილათ მაინც გამოდგეს.

ქართველები შეიჭრნენ დანაღმულ უბანზე.

არა ბრძანებამ, არა მოწოდების სიტყვამ... არა! ერთი რწმენისა და გულის ადამიანებს ომის ნაცადმა გეშმა მყის შეატყობინა, რა იყო ეხლა საჭირო გამარჯვების მოსაპოვებლად.

პირველად წითელარმიელი ჩარგეიშვილი შევარდა სასიკვდილო წრეში.

გურული კოლმეურნე ჩარგეიშვილი შრომისა და მშვიდობის მოყვარე კაცი იყო სამამულო ომის გამოცხადებამდე.

მეგობრებში თავდაბალი და გულითადი. საქმეში ერთგული და კეთილსინდისიერი. ოჯახში მოსიყვარულე და გულისხმიერი.

არაფერი განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი ნიშატი არა ჰქონდა მის სულიერ სამყაროს. ალბათ, კარგი და უბრალო საბჭოთა კაცის უბრალო თვისებებმა გახადეს იგი გმირად.

მას უყვარდა სამშობლო იმ ჩუმი და ნაზი სიყვარულით, რომელიც სიკვდილზე ძლიერი იყო და იქნება მუდამ.

იერიშის გადამწყვეტ წუთში იგი მიხვდა რომ მთელი მისი განვლილი ცხოვრება, პატიოსნად გატარებული ოცდარვა წელი მხოლოდ ამ ერთი ნაბიჯის მოსამზადებელი წლები იყო... და მან უშიშრად გადადგა იგი.

იგი პირველი აფეთქდა ნაღმზე. მან იცოდა, ეგ ასე მოხდებოდა, მაგრამ სამხედრო ფიცის კაცი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა.

ფეხებმოწყვეტილი, დაფლეთილი ჩარგეიშვილი თოვლზე დაემხო. უმალვე მასთან გაჩნდა უფროსი ლეიტენანტი აბდულა წულუკიძე.

ჩარგეიშვილმა წაიჩურჩულა:

— ვიცი, არ გადავრჩები, მეთაურო დამტოვე... ჩვენებს მიხედე... რატომ შესწყვიტეს სროლა!

შესწყვიტეს კი-არა, სროლა და ბრძოლის ყიჟინა ქვეყანას აყრუებდა მაგრამ მომაკვდავი გმირი უკვე კარგავდა ამ ქვეყნიურ ცნობიერებას.

ლამაზი და ვაჟკაცური იყო სიკვდილი მისი, როგორც გურიის მთები და სიმღერები.

* * *

ჩარგეიშვილის პირველ კვალს კვალდაკვალ მიჰყვნენ ათეულის მეთაური კობახიძე და მეკავშირე გრიშა ბასილაშვილი.

სამი თავდადებული ქართველის წმინდა სისხლმა გზა გაუკვალა უკან მომავალ ამხანაგებს.

გზახსნილი ქართველები სანგრებში ჩაუხტნენ ფაშისტებს. მათი იერიში იმდენად სწრაფი და თავაწყვეტილი იყო, რომ ბევრმა ჰიტლერელმა არამც-თუ გაქცევა, ხელის აწევაც ვერ მოასწრო.

არჩილ ზუმბულიძემ თვალის დახამხამებაში სამი გერმანელი დაცხრილა როგორც საცერი.

აბდულა წულუკიძის მებრძოლებმა ხუთმეტი ფაშისტი აკუწეს მესამე ყორღანის ფერდობზე. თვითონ აბდულამ სანგრის პირას ხიშტზე წამოაგო გერმანელი ოფიცერი.

გერმანელები გატყდნენ, რამდენიმე ყორღანი დატოვეს და მეორე წყების სანგრებში გადაინაცვლნენ.

ნიკა ამირიძე ავად იყო, ფილტვების ანთება ეწყებოდა, მაგრამ მისი ძლიერი სული როდი დანებდა ხორცის უძლურებას!

შუადღისას დაზვერვამ აცნობა, უკანდახეულ მტერს სტანიციდან სასწრაფოდ მაშველი ჯარი მოუდისო. ეტყობოდა, გერმანელები კონტრიერიშს ამზადებდნენ. ისინი გრძნობდნენ, რა მძიმე შედეგი მოსდევდა მათი თერგის-პირა სიმაგრის დაცემას; ამიტომ გაცოფებული ებღაუჭებოდნენ ყორღანებს.

ამირიძემ მაშინვე შემოიარა ქართველთა სანგრები. თვითეულ ათეულს, თოფსა და ტყვიამფრქვევს ნაღდი საომარი ადგილი მიუჩინა, თვითეულ ოფიცერს ბრძოლის გეგმა დაუდგინა...

მერე სიარული ვეღარ შესძლო. აბდულა წულუკიძემ სანგარი გაუთხარა ავადმყოფ კაპიტანს, ნაბადში თბილად შეფუთნა, მაგრამ გავარდა თუ-არა პირველი თოფი, ამირიძეს გულმა აღარ მოუთმინა;

ბრძოლის გაუნელებელმა ჟინმა ფეხზე წამოაყენა ომებში გათეთრებული ლომკაცი.

გერმანელთა ტანკებს და ბატალიონებს მტკიცედ შეაგება ერთნებად შეკრული ქართველობა.

დიდი მამულიშვილი ნიკა ამირიძე მძიმედ დაჭრეს ამ სისხლისმღვრელ ბრძოლაში. ხუთი ტყვია მოხვდა ზედიზედ.

გულწასული კაპიტანი ნაბადში გახვიეს და სამშვიდობოს გაიყვანეს.

გზაში ამირიძე ცნობაზე მოვიდა.

— როგორ მიდის საქმე! — ჰკითხა თავის მეკავშირეს.

— ჩვენები ყველგან მაგრად დახვდნენ. მხოლოდ მარცხენა ფრთაზე ცოტა შეგვავიწროვეს! ტანკები შემოიჭრნენ და ერთი ყორღანი წაგვართვეს.

— რომელი!

— მეხუთე...

— უკანვე დამაბრუნეთ!

სასიკვდილოდ დაჭრილი ნიკა ამირიძე შუაგზიდან დაბრუნდა რომ ქართველებს ერთხელ კიდევ გასძღოლოდა საძნელო საქმეში.

იგი მოკვდა მეხუთე ყორღანზე, — სწორედ იმ ყორღანზე, სადაც ცოტახნის წინათ გერმანელთა ტანკები დათარეშობდნენ.

(„ლიტ. და ხელოვნ." მე-2 გვ.).

მხატვრის ★ საფრონტო ალბომიდან



ორდენოსანი ქართველი ოფიცრები კაპიტანი ს. ვასაძე და კაპიტანი გრ. ყიფშიძე. ნახ. მხატ. შალვა მამალაძისა.

მწერლის მოვალეობა

ილია ერენბურგი

მესამე წელიწადია ჩვენი ხალხი ომს აწარმოებს ძლიერი და დაუნდობელი მტრის წინააღმდეგ. ეს ომი არა ჰგავს წინანდელ ომებს. გერმანია ორ გიჟურ მიზანს ისახავს: ხალხთა მოსპობას და ადამიანური საწყისის მოსპობას. ისტორიას არ ახსოვს მსგავსი ხელის შემართვა ადამიანის არსებაზე. ჩვენ ვიცავთ უმაღლეს იდეებს და ჩვენს ქალაქებს, ჩვენს წყობილებას და ჩვენს მიწას, ჩვენს ენას და ჩვენს მომავალს. ჩვენ ვიცავთ რაღაც ამაზე მეტსაც: სამართლიანობას, კაცურ ღირსებას, სილამაზეს. წინანდელი ომები თავდებოდნენ მოლაპარაკებით, გამოსყიდვით, საზღვრების გადანაცვლებით. იმ ომში, რომელსაც ჩვენი ხალხი აწარმოებს, არც რესპუბლიკისათვის და არც ცალკეული ადამიანისათვის არ არსებობს სხვა გამოსავალი, თუ არა ბოროტების მოსპობა.

წინათ იყვნენ ისეთი ქვეყნები და ადამიანები, რომლებიც ომს განზე ედგნენ. ახლა ნეიტრალურნი აღარ არიან. ფრონტი ყველგანაა: სმოლენსკის ოლქის „უდაბნოს ზოლიდან" რურამდე, უკრაინიდან პარიზის ქუჩებამდე, მურმანსკიდან ეპირამდე, ლენინგრადიდან იტალიამდე. ომმა მოიცვა მთელი მსოფლიო, ომმა მოიცვა თვითეულის გული. რაღაც არაჩვეულებრივია იმაში, რომ მუშაობენ ქალები, მოზარდები, ბავშვები, მუშაობენ მკაცრ გაჭირვებაში, უძილობაში, მოლოდინსა და მრისხანებაში. არაჩვეულებრივია იმიტომ, რომ ომი ზურგში გრძელდება. ომი ავსებს ღამეებს. იგი აფორიაქებს გონებას. იგი არ გვაცლის სულის მოთქმას, მას ვერავინ დაემალება. სად დაიმალები, დაბრმავებულო? ჩილიში? ჩილიც ომობს. ყვავილებისა და ბგერების სამყაროში? მაგრამ მუზებიც ხომ ლაშქრობაში არიან. შენ შემოგყურებს გოგონა. გოგონა მინსკშია. ბავშვი ქვითინებს. ის ნოვგოროდშია. შენ გაწევს პასუხისმგებლობა ბავშვის სიცოცხლისათვის, ხელმწიფოსათვის, სილამაზისათვის. წინათ ვინ იბრძოდა? ნებისყოფა, ზოგჯერ ვნებაც, ზოგჯერ გონებაც. ახლა ომობს სინდისი. მხოლოდ იმას, ვისაც სინდისი არა აქვს, შეუძლიან თავს ნეიტრალური უწოდოს.

დეე, მომეცეს ნება აღვადგინო ნახევრად დავიწყებული სიტყვები და ვსთქვა, რომ ჩვენ, მწერლები, ვიყავით და ვრჩებით ხალხის სინიდისად. კაცობრიობის ისტორიაში ხელოვნება არა ერთხელ დაუმდაბლებიათ, გაუხდიათ იგი დარბაზის მომკაზმელად ან მხიარული ნადიმის მონაწილეთა შემქცევ-გამმართობლად. მაგრამ ნამდვილი ხელოვნება არის გმირობა, არის მოწოდება, ჭეშმარიტებისა, სილამაზისა და ხალხისათვის მსახურება. მწერალს ბევრი რამე აქვს მიმადლებული, მას ბევრი რამეც მოეკითხება. ის პასუხს აგებს არა მარტო ყოველი სიტყვისათვის, ის პასუხს აგებს თავისი დუმილისათვის. დიდი განსაცდელი ამოწმებს ნიჭის ბუნებას. რა აძლევს მწერალს ძალას? სიღრმე და სიხავსე გრძნობისა. მწერალი იტევს ბევრის ვნებას, მთელი ხალხის ვნებას. როგორც ანთეოსი მიწას, მწერალი მიკრულია ადამიანთა სულებს. გავიხსენოთ მწერლის როლი გასულ საუკუნეში. პუშკინისა და ლერმონტოვის სტროფები არყევდნენ მეფის ტახტს. ნაპოლეონ მესამეს ეშინოდა პოეტისა. ჯერსეის პატარა კუნძულზე ცხოვრობდა ჰიუგო, ხოლო ჰიუგოში — საფრანგეთის სინიდისი. ლევ ტოლსტოის ხმა აზანზარებდა ქვეყნიერებას.

ამ საშინელი ომის წინადღეს დასავლეთის მრავალმა მწერალმა დაივიწყა თავისი მისია. ისინი აცდუნა სიმსუბუქემ. ანგარიშის გასწორებაც მძიმე იყო. საფრანგეთში, სადაც მეცნიერები ხალხის პირველ რიგებში დგანან, სადაც სორბონამ დამპყრობელთა წინაშე ქედი არ მოიხარა და ცრუ მეცნიერებას საკონცენტრაციო ბანაკი ამჯობინა, ამაყსა და თავისუფლების მოყვარე საფრანგეთში ზოგიერთმა მწერალმა განზე დგომა, დაცდა და გაჩუმება არჩია. ფიზიკოსი პოლ ლანჟევენი საპატიმროში მიდის, ხოლო პოეტი პოლ ვალერი სწერს ლექსებს ნარგიზის სილამაზეზე, — ამაშია განაჩენი იმ ლიტერატურისადმი, რომელმაც უარი სთქვა სიკეთის მსახურებაზე. უხუცესი კნუტ ჰამსუნი გამოვიდა ფაშისტ ჟურნალისტთა ყრილობაზე დამამცირებელი და გაბოროტებული სიტყვით. ნორვეგია იტანჯება, ნორვეგია იბრძვის, ხოლო მისი პირველი მწერალი გზას ულოცავს ჯალათს. როგორ მოხდა ეს? კნუტ ჰამსუნი არ ყოფილა წინასწარმეტყველი, ის ვასალი იყო და ვასალმა გამოიცვალა სიუზერენი. ამ სიტყვებით არ მინდა გავკიცხო დასავლეთის ყველა მწერალი. როცა იტალიელებმა საბერძნეთი დაიპყრეს, მისმა უხუცესმა და უდიდესმა პოეტმა კოსტის პალამასმა უარი სთქვა შეხვედროდა გამარჯვებულ მტერს. ფაშისტებმა მას შესთავაზეს პატივი, თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა, სასახლე ვენეციაში. კოსტის პალამასმა თავის უკანასკნელ პოემაში შეაჩვენა მოძალადენი, ფარდა ჩამოაფარა ფანჯრებს, რომლებიც მტრის მიერ შეურაცხყოფილ აკროპოლისს გაჰყურებდნენ და მოკვდა ქედმოუხრელი და უძლეველი. როცა ესპანეთი დამპყრობლებს ეომებოდა, მისმა საუკეთესო პოეტმა მოხუცმა ანტონიო მაჩადომ მთელი თავისი მადლი ხალხს უძღვნა: რესპუბლიკელებთან ერთად წავიდა გათელილ, დამცირებულ ესპანეთიდან და, გასცილდა რა საზღვარს, მოკვდა. გერმანელებმა დახვრიტეს უპატიოსნესი ჩეხი მწერალი ვანჩურა. ცეცხლმა და სისხლმა გასწმინდა ევროპის მწერლობა სულისშემხუთველი ჭაერისა, ობისა, კონფორმიზმისაგან. და ახლა აღარც იქ არიან ნეიტრალები. ახლა არიან მხოლოდ პოეტი-ლაქიები და პოეტი-გმირები. მათ შორის სისხლია.

ომმა გვიჩვენა საბჭოთა მწერლების ღრმა კავშირი ხალხთან. ეს იყო თითოეულის სინიდისის სასტიკი შემოწმება. მე არ ვილაპარაკებ ეხლა იმაზე, თუ როგორ გაუძლო ამ შემოწმებას ამა თუ იმ მწერალმა. მას გაუძლო ჩვენმა ლიტერატურამ. ომამდე ყველას როდი ესმოდა მწერლის ნამდვილი როლი. ჩვენ გავურბოდით მაღალხმიან სიტყვებს: მოწოდებას, შთაგონებას, შემოქმედებას. მაგრამ ამ სიტყვების გარეშე წარმოუდგენელია ლიტერატურის ცნება. სავალალოა, როცა მწერალი ამბების რეგისტრატორად, კომენტარიების კომენტატორად, ერთხელ თქმულის მაღალფარდოვან მთხრობელად ხდება. ხელოვნების ბუნებისათვის უცხო ტერმინოლოგიით გატაცებული ზოგიერთი ლიტერატორი რომანების დაგეგმაზედაც-კი ლაპარაკობდა წლის კვარტალების მიხედვით. ისინი მიდიოდნენ მასალის შესაგროვებლად, თითქოს ადამიანის გრძნობები ტყეში მოსული მარწყვი ან უტილნედლეული იყოს. მწერლები იტაცებდნენ თემებს, როგორც იტაცებენ ხოლმე საქონელს უნივერმაგში. ისინი ჰქმნიდნენ ილუზიას, თითქოს მწერალს შეეძლოს წერა ყოველთვის და ყველაფერზე, მაგრამ ხელოვნება ბევრად უფრო ახლოა ბიოლოგიასთან, ვიდრე წარმოებასთან. მწერალი ავად ხდება თემით, იგი თემას პოულობს არა მარტო ადამიანის განცდებში, არამედ თავის თანგანცდაში, თავის თავში. ლევ ტოლსტოი ამბობდა, უნდა დაიწეროს რამეზე მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა მასზე არ შეიძლება არ დაიწეროს. მე არ მეშინიან გავიმეორო ძველი თქმა და არ გაგახსენოთ, რომ ყველა დიდი წიგნი დაწერილია სისხლით. ეს ნათელი გახდა ომის დღეებში. მწერლები აუცილებელნი გახდნენ ხალხისათვის. მათ ხმას მღელვარებით ყურს უგდებენ მილიონები და ტანკების გრიალით, ზანზარით, ყუმბარების აფეთქებით, სირენების ღრიალით გარემოცულ მსოფლიოში მკაფიოდ გაისმის სუსტი ადამიანური ხმა მეგობრისა, სინიდისისა, პოეზიისა.

აქ მე უნდა ვსთქვა ზოგიერთ დადუმებულზე. მე არ მინდა ვინმე გავკიცხო, მაგრამ მომეცეს ნება მოგაგონოთ, რომ დუმილი ყოველთვის ოქრო როდია. შვიდჯერ გაზომვა ყოველთვის სიბრძნე როდია. თუ ფრონტელებმა ვერ მოისმინეს ხმა ამა თუ იმ მწერლისა, რომელიც უყვარდათ და რომლისაც სჯეროდათ, მათ უფლება აქვთ სთქვან: „ის ჩვენთან იყო სიყვარულისა და ოცნების დღეებში. ჩვენ მან დაგვტოვა მრისხანე დღეებში".

რატომ მოელის ხალხი მწერლის ხმას? ომში ადამიანები გახდნენ უფრო უხეშნიც და უფრო მგრძნობიარენიც. დაშტამპული სიტყვები სერავენ გულს, ტრაფარეტული ფრაზები შეურაცხყოფენ, სიყალბეს ყველა ადვილად ხვდება. მწერალს თავისი ხმა აქვს: ვლაპარაკობ ნამდვილ მწერალზე. ის გამომძახილი როდია, ის ადამიანია. თავისი გრძნობებისათვის ის პოულობს სიტყვებს, რომელიც გულის სიღრმემდე მიდის. ყველაფერი გულწრფელი ადვილად მიდის მკითხველამდე. მწერალი სამყაროს ხედავს თავისი თვალით, ხოლო ეს საშუალებას აძლევს მას ღრმად ჩაიხედოს წყვდიადით მოსილ გრძნობებში, გაანათოს ისინი ჰარმონიით. აი რატომ არ შეიძლება განსაცდელის დღეებში ჟურნალისტმა შესცვალოს მწერალი. ომის დროს რედაქციები ხშირად მიმართავენ მწერლებს. თითქოს საგაზეთო მასალის ნაკლებობა არ არის. მარტო დეპეშებით შეიძლება შეივსოს გაზეთის არა ოთხი, არამედ ორმოცი გვერდი. მაგრამ აი გაზეთები ადგილს უთმობენ არა მარტო სტატიებს, პამფლეტებს, მწერალთა მოწოდებებს, არა მარტო მათ ნარკვევებს, არამედ ლექსებსაც, მოთხრობებსაც, დრამებსაც. ეს ნიშნავს იმას, რომ მწერალს შეუძლიან სთქვას ის, რასაც ვერ იტყვიან სხვები. ეს ნიშნავს, რომ მწერალს შესწევს უნარი ილაპარაკოს ისე, როგორც არ შესწევს სხვას.

მწერლები მივიდნენ გაზეთში, როგორც ადიან ტრიბუნაზე: ეს მათი სამუშაო მაგიდა არ არის, ეს არც მათი ადგილია. მაგრამ არც ბლინდაჟია ლითონის მდნობელის და მებაღის სამუშაო ადგილი. ომი ახდენს ადამიანებისა და გულების გადასახლებას. მშვიდობიანობის დროს გაზეთი ცნობების მიმწოდებელია. ომის დღეებში გაზეთი ჰაერია: ადამიანები გაზეთს უფრო ადრე შლიან, ვიდრე მახლობელი მეგობრისაგან მიღებულ წერილს. გაზეთი ეხლა პირადად შენი მისამართით გამოგზავნილი წერილია. ასე გაიცნო გაზეთმა ახალი ადამიანები — მწერლები.

არ ვიტყვი, რომ ეს შეხვედრა დაუბრკოლებლად, უმტკივნეულოდ, უშეხლაშემოხლოდ მოხდა. ხშირად ჩვენი ჟურნალისტები სწერენ ისეთ ენაზე, რომელიც თანაბრად დაშორებულია როგორც ლიტერატურულ, ისე სალაპარაკო ენას. რუსული ენისაგან გამოსარჩევად ჩვენ მას „საგაზეთო ენას" ვუწოდებთ. მკითხველის შემეცნებაში გაზეთის ენა ლაგდება ისე, როგორც პირობითი კოდი.

გაზეთი დიდხანს ნერგავდა ლექსიკონის სიღარიბეს, გაუპიროვნებულ სტილს. თავს ნებას მივსცემ მოვიყვანო მაგალითი პირადი გამოცდილებიდან. ომის დაწყებისას ერთი გაზეთის რედაქტორმა წინადადება მომცა დამეწერა მოწინავე წერილი. ამაოდ ვეუბნებოდი, რომ არ მეხერხება მოწინავე წერილების წერა-მეთქი. მან თავისი დაიჟინა. მეც დავწერე. როცა წაიკითხა გაეცინა: ამ სტატიიდან ხომ აშკარად სჩანს, თუ ვისი დაწერილია იგი. ეს შეეხება არა მარტო მოწინავე წერილებს. მრავალ რედაქტორს შეეშინდა იმ ავლა-დიდებისა, რომელიც თან მიიტანეს მწერლებმა. სახელდობრ — ცოცხალი სიტყვებისა. უსამართლობა იქნება გავჩუმდეთ იმაზე, რომ ზოგიერთმა მწერალმა გაზეთში მისვლისას ერთბაშად როდი აუღო ალღო, თუ როგორ უნდა ეწერა, ზოგი მათგანი სტატიებს სწერდა ძველებური რომანის სტილით. ეხლა მრავალი დაბრკოლება უკვე გადალახულია. მწერლებმა მტკიცედ დაიმკვიდრეს ხალხთან ლაპარაკის უფლება. ეხლა ძნელი წარმოსადგენია ცენტრალური ან საარმიო პრესა უმწერლოდ.

(იბეჭდება შემოკლებით. დასასრული იქნება)



პოლკოვნიკი გიორგი ყურაშვილი ფრონტზე. ნახ. მხატ. გ. ნიჟარაძისა.

ალექსანდრე ყაზბეგი

(გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წლისთავის გამო)

ქართული

ჩვენი მარადი თანამგზავრი

სერგო კლდიაშვილი

სიკვდილის წინ უკვე ფსიქიურად დაავადებულ ალექსანდრე ყაზბეგს საავადმყოფოში მოუტანეს სამ ტომად გამოცემული მისი რჩეული პროზა. ალბათ ელოდნენ, რომ მათი დანახვა სიხარულს მოჰგვრიდა. ერთი წუთით თითქო გაუნათლდა კიდეც ეხლა დაბნელებული, ოდესღაც კი ბრწყინვალედ ნათელი გონება, მიხვდა და იცნო რა მისცეს, მაგრამ სიხარული არ უგრძვნია. — მან გადაშალა წიგნები, ერთ ხანს თავის პორტრეტს უცქირა, შემდეგ ამოხია ის, ბოლოს ფურცლებიც ამოგლიჯა, ნაკუწებად აქცია და გადაყარა.

შესაძლოა ერთგვარად მართალი იყო ამ წუთში ყაზბეგი. განა ამ შედევრებმა წარსულში ბედნიერება და სიხარული განაცდევინეს მას?

ის, რაც მწერლების უმეტეს რიცხვს კმაყოფილებას ანიჭებს — მათი ნაშრომი, მათზე ფიქრი, თითონ პროცესიც მუშაობისა, საზოგადოების და პრესის ყურადღება — უმძიმეს ჯვარად, ნამდვილ სატანჯველად ქცეულიყო ყაზბეგისათვის. მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში მას, როგორც მწერალს, ერთხელაც არ უგრძვნია ხანგრძლივი სიხარული. მხოლოდ რამდენიმე რჩეული პიროვნება თუ აძლევდა ნუგეშს და ამხნევებდა.

მე-19 საუკუნის ჩვენს ლიტერატურაში ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ არ მოიპოვება ისეთი ტრაგიკული პიროვნება, როგორიც ალექსანდრე ყაზბეგია.

თავდაპირველად ის ნამდვილი ბედის ნებიერი იყო. ყველაფერი მიანიჭა ბუნებამ: ბრწყინვალე გვარიშვილობა, სილამაზე, ხალისიანობა, ხელგაშლილი ცხოვრების საშუალება. ბავშვი და შემდეგ ჭაბუკი სანდრო ნამდვილი კერპი იყო არა მხოლოდ საკუთარ სახლში და თავის სტეფანწმინდაში, მას აღტაცებაში მოჰყავდა ყველა შორეული და უცხო პეტერბურგშიაც, სადაც ბრწყინვალე საზოგადოებაში ტრიალებდა. ახალგაზრდა ლამაზი მთიელი, განათლებული, გონებამახვილი. იშვიათი მოცეკვავე და რაინდული ბუნების ჭაბუკი, ყველგან და ყველასათვის სანატრელი სტუმარი იყო. ბედს თითქოს კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაეღო მის წინაშე სიხარულისა და ბედნიერების კარები, მაგრამ მოულოდნელად მძაფრი ცვლილება ხდება ყაზბეგის ცხოვრებაში. ის კარგავს გარეგნულ კეთილდღეობას, სხვა სამყარო იღვიძებს მის სულში, ერთბაშად სწყვეტს კავშირს ჭაბუკურ უდარდელობასთან და შედის ცხოვრებაში ახალი, სულ სხვა ვნებებით შეპყრობილი. აქამდე თუ მას გარს ეხვია ხალხი, საზოგადოება, ეხლა უეცრად სრულიად მარტო რჩება. ლოთარავისთან სცდილობს დაახლოვებას და აღარც ის უნდა ვინმეს. ჩაკეტილ ოთახში, ხშირად მშიერი მუშაობს ანთებულად, საოცარი სისწრაფით.

მძიმე ავადმყოფობა კი ნელინელ თავს იჩენს და ძლიერდება მასში, თუმცა აზრი ჯერ კიდევ ნათელია და პირველ შედევრს მეორე სწრაფად მოსდევს. მაგრამ მათ მაღალ ღირსებას თითო ოროლა ამჩნევს. მრავალჯერ ცრემლით ატირებულა ყაზბეგი თავისი უბედობის გამო.

წლების განმავლობაში, როცა ალექსანდრე ყაზბეგმა საბოლოოდ დაჰკარგა თავისი გარეგნული ბრწყინვალება, თვალში ნათელი მოაკლდა და კიდეც დამახინჯდა, როცა მძიმე შრომისაგან დაღლილს, ავადმყოფს ნიჭმაც ქრობა უწყო და თეატრით გატაცებული თითქმის სამოწყალოდ ჰყავდათ დასში მსახიობად, მას უკანასკნელ სიხარულისა და იმედის წართმევასაც უპირებენ: ბევრს არა სჯერა რომ ამ ნაკლებ ნიჭიერ არტისტს, სუსტ ორატორს, გარეგნულად უკვე არამიმზიდველ კაცს შეეძლებოდა ისეთი მომხიბლავი შედევრების შექმნა, როგორიცაა „მოძღვარი", „მამის მკვლელი", „ხევის ბერი გოჩა" და მრავალი სხვა. ჯერ კიდევ ყაზბეგის სიცოცხლეშივე იქმნება ფილისტერული ლეგენდა, რომ იმ რომანებისა და მოთხრობების ავტორი თითქოს სხვა იყო.

თითქო ლოგიკური იყო, რომ პიროვნული ტრაგედია, მთელი უბედობა ჩაქსოვილიყო მის ნაწარმოებებში, ხოლო თითონ გამხდარიყო მიზანტროპად, ცხოვრებაზე აღრენილ და ხელჩაქნეულ ადამიანად. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. პიროვნული დრამა მან გულში ღრმად ჩაინერგა და მის მაგიერ ჩვენს წინაშე გადაშალა მხოლოდ რაინდული სილამაზით გასხივოსნებული და დიდათ ამაღლებული ადამიანთა ცხოვრება.

არცერთ მწერალს არ აუღელვებია ჩვენი ჭაბუკობა ისე, როგორც ალექსანდრე ყაზბეგს. ის აფორიაქებს ახალგაზრდულ სულს, ყველაფერი იმით, რაც ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანს: რაინდობით, სიყვარულით, თავდადებით, სიცოცხლის ხალისით. ის გვაიძულებს მივიღოთ სიცოცხლე როგორც უდიდესი სასიხარულო ნიჭი.

იმისათვის რომ ნამდვილად გაიგო და ჩასწვდე თუ რა მიმზიდველობა და ჯადოსნური ძალა აქვს ამ დიდ მხატვარს, აუცილებლად უნდა წაიკითხოთ ის ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას. ამ წლებში ის ინერგება და ხარობს ჩვენში მთელი თავისი ფესვებით, სიცოცხლის გამასხივოსნებელ ძალას გვაწვდის, გვზრდის ამით და შესისხლხორცებული ჩვენს აზრსა და გრძნობასთან, მარად ჩვენს თანამგზავრათ რჩება.

როცა მოწიფულობის წლებში ხელმეორედ გადაიკითხავთ ყაზბეგის პროზას და თუ ამ დროს მკაცრი დეგუსტაციის პედანტიზმით მიუდექით, შესაძლოა დავინახოთ, რომ მწერალი ხანდახან გულუბრყვილოა და დაუდევარი. შესაძლოა ეს ნაკლი ალაგ ჰქონდეს ყაზბეგს, მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ ჩრდილავს მის ნაწარმოებთ, რადგან მათ მრავალი სხვა მაღალი ღირსება მოეპოვებათ. ეს ღირსებანი სავსებით ფარავენ წვრილმან ნაკლოვანებებს. ის სურნელება, რომელიც ერთხელ ვიგრძენით მის სტრიქონებში. არასოდეს არ ქარწყლდება. როცა ხელმეორედ ვკითხულობთ ყაზბეგს, ჩვენ ისევ გვიტაცებს ძველი სურნელება და უნებურად გვეჩვენება, თითქო ისევ ახალგაზრდანი ვართ, ისევ გვეპკურება მაცოცხლებელი წვეთები, ისევ განვიცდით საუკეთესო წუთებს ჩვენი ცხოვრებისას, როცა ჭაბუკური გატაცებით შეგვეძლო სიყვარული, ბრძოლა სიცოცხლისათვის და დაუშრეტელი ხალისი.

ეს ძალა, ადამიანის ფენიქსებური გაახლების საიდუმლოება მუდამ თან ახლავს ყაზბეგის შემოქმედებას. მისი ქმნილება მარად უჭკნობი ახალგაზრდული სულის მატარებელია. აქაა მისი უდიდესი მადლი და სხივი, რომელიც ნათელს ჰფენს და სპობს ყველა შესაძლო ჩრდილს მის ნაწარმოებში. ყაზბეგს აპატიებ ყველაფერს, რადგან ის გულწრფელია და ჩვენც გულწრფელად გვიყვარს.

ყაზბეგი ჩვენ გვიყვარს პირველი სიყვარულის ძლიერებით, შეუძლებელია არ გიყვარდეს ის, ვინც პირველადვე გაგვაკეთილშობილა და სულიერ საზრდოდ მაღალი გრძნობანი ჩაგვინერგა.

რას მიცქერ*

ალ. ყაზბეგი

რას მიცქერ? რასაც კი მხედავ,
ასე ვარ ყოველ წამსაო,
მტერს უმღერ სიკვდილს, მოყვასს კი
სიცოცხლეს—მუდამ ჟამსაო.

ნუ დამბღვერიხარ, არ ვშიშობ,
არ ველი შეწყალებასა,
ჩემი მაქვს, ჩემსას ვიდავებ,
შენ არ გთხოვ მოწყალებასა!

მე ვერ დამჩაგრავს ზამთარი,
ვერც თუ ზაფხული ცხელია,
ვერც შემაშინებს ძლიერის
ულმერთო კაცის ხელია.

ვერ გამაბრუნებს შავი დღე,
ვერც ხმალი ძალზე მჭრელია,
ვერც ენა-ცქვიტი, ყურ-მარჯვე,
ვერც ის ვინც გველად ჭრელია!

მე მაქვს ჩემი გზა,—მას მივდევ,
წინაპართ ნაკვალევია,
მათივ გამომყვა გუნება,
სისხლი, ხორცი და ძვალია!

რას მიცქერ? რასაც კი ხედავ,
ესა ვარ ყოველ წამსაო,
მტერს უმღერ სიკვდილს, მოყვარეს
სიცოცხლეს,—ყოველ ჟამსაო!

---

*) ალექსანდრე ყაზბეგმა მწერლობა ლექსების წერით დაიწყო, 12 წლისა იყო, როცა მისი პირველი პოეტური ნაწარმოები დაიბეჭდა „ცისკარში". მას დარჩა ძალიან ბევრი გამოუქვეყნებელი ლექსი. ამჟამად ჩვენ გამოსაცემად ვამზადებთ მისი ლექსების კრებულს. ზემოდმოყვანილი ლექსი „რას მიცქერ" ამოღებულია ხსენებული კრებულიდან. იგი პირველად იბეჭდება.

ი. გრიშაშვილი



ალექსანდრე ყაზბეგი სომხურ ენაზე

სურენ ავჩიანი

ქართველ კლასიკოსთა შორის ალექსანდრე ყაზბეგი უაღრესად ორიგინალური ფიგურაა: მისი ნათელი სახელი საუკუნეთა მანძილზე ისევე უკვდავი იქნება ლიტერატურის ისტორიაში, როგორც სახელები რუსთაველისა, აკაკისა, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველასი.

ალ. ყაზბეგმა თავისი მაღალ-მხატვრული ქმნილებებით დაიმსახურა არა მარტო ქართველი მკითხველის ყურადღება და სიყვარული, არამედ სომეხი მკითხველისაც. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ალექსანდრე ყაზბეგის სიცოცხლის დროს, მისმა საუცხოო ნაწერებმა დიდი გამოძახილი ჰპოვეს მაშინდელ სომხურ პრესაში.

სომეხთა გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ და რედაქტორმა ავეტიქ არასხანიანმა (1857-1912) თავის ყოველთვიურ ჟურნალის „მურჰის („ურო") 1892 წლის მესამე და მეოთხე ნომრებში მოათავსა ალ. ყაზბეგის ცნობილი მოთხრობა „ელისო", თარგმნილი მკრტიჩ ნავასარდიანის მიერ.

ამ თარგმანს რედაქციამ დაურთო მოკლე წერილი შემდეგი სათაურით: „მოჩხუბარიძის რომანი „ელისო", სადაც საუკეთესოდ დაახასიათა „ელისოს" ავტორი.

იმავე მთარგმნელმა სომეხ მკითხველს გააცნო ყაზბეგის „ბერდია", რომელიც დაიბეჭდა სომხური ლიტერატურის დიდი მოამაგის ტიგრან ნაზარიანის (1858-1926) ყოველკვირეული მხატვრული ჟურნალის „ტარაზის" 1893 წლის 35 და 36 ნომრებში.

მას შემდეგ „ტარაზმა" 1894 წლის ნომრებში დაბეჭდა დავით ტერ-დავითიანის (1860-1901) მიერ კარგად თარგმნილი „ციცა" (№ 11), „ფათი" (№ 14, 15), ხოლო შემდეგში „ნინო"-ც.

ჟურნალი „მურჰი" არ დაკმაყოფილდა „ელისოს" მოთავსებით და დაბეჭდა თავისი თანამშრომლის მკრტიჩ ნავასარდიანის მიერ თარგმნილი „ხევის ბერი გოჩა" (1894 წ. № 1, 2, 3) და „ელბერდი" (1894 წ. № 5).

ცალკე წიგნებად გამოცემულია „ელგუჯა". სთარგმნა ტიგრან ფირუმიანმა (1860-1934), გამოსცა 1893 წელს თბილისის სომეხთა საგამომცემლო ამხანაგობამ. წიგნს დართული აქვს მთარგმნელის შესავალი წერილი.

სხვათა შორის, „ელგუჯას" ხსენებული გამოცემის შესახებ მკრტიჩ ნავასარდიანმა ვრცელი ბიბლიოგრაფია მოათავსა ჟურნალ „მურჰის" 1893 წლის მე-9 ნომერში. მ. ნავასარდიანი ამ ბიბლიოგრაფიაში უპირველეს ყოვლისა შეჩერდა ქართველ-სომეხთა ურთიერთობის საკითხზე და გამოსთქვა სურვილი, რომ ეს ორი უძველესი მოძმე ერი უფრო მეტად დაახლოვებულიყო და უფრო მჭიდრო კავშირი გაება ურთიერთ შორის. წერილის ავტორი მკითხველს აცნობს „ელგუჯას" შინაარსს. ბოლოს აკრიტიკებს ტიგრან ფირუმიანის თარგმანს და უსაყვედურებს, რომ მას ამოუგდია „ელგუჯას" მესამე თავი და თავის წინასიტყვაობაში ამბობს, ვითომ რომანის ამ თავს საერთო არაფერი ჰქონდეს „ელგუჯას" შინაარსთან.

ბიბლიოგრაფიას დართული აქვს აგრეთვე ჟურნალ „მურჰის" რედაქციის კომენტარი, სადაც ნათქვამია, რომ ყაზბეგის ამ მშვენიერი რომანის სომხური თარგმანი „მურჰ"-ისათვის დავალებული ჰქონდა მ. ნავასარდიანს.

შემდეგ, ცალკე გამოიცა „ფათის" მეორე თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ლაზარე კარაპეტიანს (1872-1943). გამოსცა ა. მალხაზიანმა ქალაქ ალექსანდროპოლში (ლენინაკანი) 1904 წელს.

პიესა „ყაჩაღი არსენა" სთარგმნა ა. ჩობანკარიანცმა, ცალკე წიგნად გამოსცა 1907 წელს თბილისში ა. ლუკასიანმა.

ალექსანდრე ყაზბეგის ყველა ზემოჩამოთვლილ ნაწარმოებს სომეხი მკითხველი უდიდესი ინტერესით შეხვდა. მეტად გულთბილად არის დაწერილი ყველა—სტატია, რომელიც სომხურმა პრესამ მოათავსა ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების გამო 1893 წელს.

ჟურნალებმა „მურჰმა" (1893 წ. № 12) და „ტარაზმა" (1893 წ. №№ 49-50) თავიანთ ნეკროლოგებსა და წერილებში ღრმა მწუხარებით და გულისტკივილით აუწყეს თავიანთ მკითხველებს ნიჭიერი ბელეტრისტის ალექსანდრე ყაზბეგის უდროოდ დაკარგვა.

* * *

მაგონდება ნაძალადევში პატარა წიგნის მაღაზია, რომელიც ეკუთვნოდა საკმაოდ ცნობილ ქართველ მწიგნობარს—გრიგოლ ჩარკვიანს. ერთხელ იქ ერთი წიგნი ვიყიდე, მეორე წიგნი თვით ალერსიანმა მოხუცმა გამომაწოდა და თან დაბალი ხმით დაუმატა: „ესეც შენთვის მიფეშქაშებია, წაიღე, წაიკითხე, კარგი წიგნია"-ო. წიგნზე ახალგაზრდა, პატარა წვერ-ულვაშიანი და თოფიანი კაცის სურათი იყო და ეწერა „ალ. ყაზბეგი დაუბეჭდავი ლექსები, 1910 წელი, ტფილისი".

მერე როცა წიგნი მადლობით ჩამოვართვი და დავინტერესდი, გრიგოლ ჩარკვიანმა, რომელიც ამ წიგნის გამომცემელი იყო, გადმომცა ზოგი რამ ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ და ბოლოს გაიმეორა ის სიტყვები, რომელიც ამ წიგნს მოკლე წინასიტყვაობად ჰქონდა წამძღვარებული.

გრიგოლ ჩარკვიანის ნაამბობმა ალ. ყაზბეგის შესახებ და ამ პატარა წიგნში მოთავსებულმა სულ რამდენიმე ლექსმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, 15-16 წლის ახალგაზრდაზე. შემიყვარდა ალექსანდრე ყაზბეგი და წავიკითხე მისი ყველა რომანი და მოთხრობა ქართულად. აქედან დაწყებული მეც შეძლებისდაგვარად ვემსახურები ალ. ყაზბეგის შემოქმედების პოპულარიზაციას სომეხ მკითხველთა შორის. ჩემი პირველი წერილი ალ. ყაზბეგზე, მისი გარდაცვალებიდან 30 წლის შესრულების გამო, დაიბეჭდა თბილისის სომხურ გაზეთ „მარტაკოჩის" 1923 წლის 149-ე ნომერში, ე. ი. სრული ოცი წლის წინად.

მეორე წერილი დაიბეჭდა სომხური მხატვრული ჟურნალის „ხელოვნება, ლიტერატურა და მეცნიერება"-ს 1928 წლის მე-16 ნომერში, ხოლო მესამე, უფრო ვრცელი, წერილი მოვათავსე გაზეთ „პროლეტარის" 1938 წლის 23 ნომერში, ალ. ყაზბეგის სურათით, მისი გარდაცვალებიდან 45 წლის შესრულების გამო.

1926 წელს სომხურად ვთარგმნე მისი დიდი რომანი „მამის მკვლელი" და ერთ-ერთი მისი ვოდევილი „დილა ქორწილის შემდეგ", რომელიც ერთ-ერთი სცენისათვის გვესაჭიროებოდა.

ალექსანდრე ყაზბეგი სომხებისათვის ისეთივე დიდი და საყვარელი მწერალია, როგორც ქართველებისათვის.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინად მისი ნაწერების სომხური თარგმანის ერთ ტომად გამოცემა განიზრახა სომხეთის სახელგამმა.

რედაქცია მიენდო ახალგაზრდა დოცენტს, აწ განსვენებულ ივანე ბეგლაროვს (1911-1942), რომელსაც აღარ დასცალდა ამ კარგი საქმის სისრულეში მოყვანა. მაგრამ გვწამს, რომ ეს წიგნი მაინც გამოვა სომხურ ენაზე და საშუალებას მისცემს თანამედროვე სომეხ ახალგაზრდა მკითხველს უფრო ახლოს გაეცნოს ამ შესანიშნავი მწერლის შემოქმედებას.

სიცოცხლის მომღერალი

დემნა შენგელაია

ალექსანდრე ყაზბეგი! რა ძვირფასია, რა საყვარელია ეს სახელი! რაოდენ გარდასულ გრძნობათა და გატაცებათა გამომხატველია იგი!

ეს სახელი ისეთსავე ნაზსა და მიმქრალებულ სურნელს გადმოსცემს, როგორც ოდესღაც, ჭაბუკობის დროს, მის წიგნშივე ჩასანიშნავად ჩადებული და ჩარჩენილი ყვავილი,—ყვავილი, ნაშთი ყრმობის ტრფიალებისა.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი ფანტაზია ბუნებასავით ხორკლიანია, მოულოდნელი და უშუალო. მისი გმირები მხოლოდ თავის საკუთარ სულისკვეთებას ექვემდებარებიან. ისინი მუდამ თავის შინაგან სამყაროდან სჭვრეტენ გარესკნელს, არ თაღლითობენ, ეჯავრებათ ყოველგვარი სიყალბე გრძნობებისა. თავის სულისკვეთებას ისე მკაფიოდ, ისე უშუალოდ გამოხატავენ, რომ არას დაგიდევენ, თუ იგი არ ეთანხმება გარეგან ნორმებს. და მთელი მათი ტრაგედიაც სწორედ აქედან გამომდინარეობს.

მისი გმირები მხოლოდ თავის ალალ გულისთქმებს ემონებიან, გულისთქმას, რომელიც ისე მძლავრია, რომ თვითონვე ვერ ერევიან, გულისთქმას, რომელსაც მათივე ბუნებრივი უშუალობა უკარნახებს, არა, კი არ უკარნახებს,—უბრძანებს. ეს გულისთქმა ისე მძლავრია, როგორც ახალგაზრდა ხე, რომელიც პიტალოზე ამოსულა და კლდე ფესვებით გაუხეთქია, ისევე გარდუვალია, როგორც ხარლალი, რომელიც მყვირალობის ჟამს ფურს ბღავილით მოუწოდებს. ეს გულისთქმა კანონია სიცოცხლისა და, თუ გინდა, რომ ცოცხალი იყო, კიდევაც უნდა ემორჩილებოდე მის კანონებს. ყაზბეგი მთელი თავისი შემოქმედებითი ძალით განამტკიცებს ამ უაღრესობას სიცოცხლისა.

ალექსანდრე ყაზბეგი, გამაღმერთებელია ბუნებისა და მისი ძალის სიყვარულის გამოვლინების. ამიტომ ახასიათებს მის შემოქმედებას ასე მძლავრად რწმენა, რომ მისნი გმირნი ნამდვილნი არიან. ალექსანდრე ყაზბეგი იტანჯება მათთან ერთად, უხარია მათი სიხარული და ჩვენც მძაფრად განგვაცდევინებს ღრმა გრძნობებს თავისი პერსონაჟებისა, გვაჯერებს მათს ნამდვილობაში.

აკი ამიტომაც ედება ცეცხლი მის ყოველ სტრიქონს, აკი ამიტომაც გიზგიზებს ყოველი მისი სიტყვა და მთელ საქართველოში მშობლიურად გაისმის ბურსაჭირისა, კაიშაურისა, სნოსი, გუდამაყრისა, მზალოსი, ელბერდისა და სულთის სახელები.

მთელ საქართველოში მშობლიურად გაისმის ყაზბეგამდე უცნაური:

— ჩემო ყველაუ! ქალაუ! ჰაი, ჰაი, რომ ეგრეა! და სხვა.

მისი წიგნები განათებულია მზის პირველი სხივებით, მის სტრიქონებს ჯერ ისევ ორთქლი ასდით ახლად დაღვრილი სისხლისა, მარილის გემო აქვთ ახლად დაფრქვეულ უმანკო ცრემლისაგან. მისი სტრიქონები მობუღრავე ჯიხვის ძარღვებივით დაზიდულია, მისი სიტყვები მფოთავენ აბობოქრებულ ხატიონივით, თრთიან შეყვარებულივით. ისინი ხან ნიავით დარხეულ ფოთლებივით ჩურჩულებენ, ხან ყღარუნობენ დეკანოზისაგან დარხეულ ბავრაყებივით, ხან მრისხანებენ მოვარდნილ მდინარესავით, ხან ნაზ სურნელს გამოსცემენ, სურნელს მინდვრის ყვავილებისა და ხან გუგუნებენ, შავადებიან ჭიუხებიდან მოხეთქილ ზვავებივით.

და მართლაც, სადა სცალია მას შეამკოს ყოველივე ეს ხელსაქმის ოსტატობით, დაამშვენოს ყოველივე ეს ფილიგრანული გულდასმულობით, მოათავსოს ეს მოზღვავებული გრძნობანი ენის არტახებში, რომლებიც ასე ჭრაჭუნობენ, ვერ უძლებენ მოწოლილ ძალას ხალხური თქმებისა და დაუოკებელ გრძნობებს შემოქმედისა.

იგი ქადაგად არის დაცემული. იგი ცრემლად იღვრება, გულს სისხლი ევლება, როცა თავის განუზომელ ტკივილებს გადმოგვცემს, როცა თავის გმირთა უბედურ ამბებს მოგვითხრობს, მოგვითხრობს ისეთი გატაცებითა და უშუალობით, როგორც უცხოვრია.

იგი ახალი ავთანდილია, ფიცვერცხლნაჭამი ძმობილი თავისი გმირებისა და მას, როგორც დიდ რომანტიკოსსა და პათეტიურ მომღერალს სიყვარულისა, არ შეეძლო რუსთაველურად არ განეცადა მათი ამბავი. ონისეს გაჭრა ტყეველად ხომ იგივე ტარიელის გაჭრაა, მათიასა და სულთის მეგობრობა და პატივისცემა ქალის მანდილისა ხომ იგივე ძმადშეფიცულობაა ავთანდილ-ფრიდონისა. ჯაჯალა ხომ იგივე ფატმანია. ისევე, როგორც განრისხებულმა ტარიელმა ვეფხი მოჰკლა, გაგულისებულმა ბეჟიამ არწივი გამოასალმა წუთისოფელს. განა ქალის პატივისცემა რუსთაველური პათოსით არ არის ატანილი ალექსანდრე ყაზბეგის, თუ შეიძლება ასე ითქვას, კურტუაზიულ რომანებში? განა მისნი მიჯნურნი ისევე არ იტანჯებიან, სტირიან, როგორც ავთანდილ-ტარიელი? განა ყაზბეგის გმირებს რუსთაველის რაინდებივით ერთის ნახვითვე არ განეწონებათ გული სიყვარულით და იქვე იბნიდებიან?

ეს მოტივები სრულიადაც არ არის ირანული. თუ მთის ადათებს გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ ისინი თურმე ღრმად ქართული, უაღრესად ეროვნული მოტივები ყოფილან.

განა ონისეს გამუდმებული ოხვრა-ტირილი ისეთსავე შთაბეჭდილებას არ ახდენს თანამედროვე მკითხველზე, როგორც ტარიელის სულთქმა-უში? მათი გმირული აღნაგობა და ქალური ცრემლები როგორღაც არ თავსდებიან ერთად ჩვენს წარმოდგენაში. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსთაველისა და ყაზბეგის სიყვარული დიდ რომანტიულობასთან ერთად უაღრესად ჰუმანისტურია და ამასთანავე ძალზე ხორციელი, მაშინ მათი ცრემლებიც საკვირველი აღარ იქნება. რამდენადაც მძლავრნი არიან ისინი თავისი ხორციელი ძალით, იმდენადვე ძლიერია და საბედისწერო მათი ხორციელი სიყვარულიც. ტარიელისა და ონისესათვის სიყვარული ფატუმია, ბედისწერაა, ხოლო უიმედო ტრფობა მათთვის უიმედო სიცოცხლესა და დაღუპვას უდრის. ამიტომ სტირიან ისინი, ამიტომ მოსთქვამენ თავის შავბედს რამდენადაც კდემამოსილნი და ამასთანავე ჯანსავსენი იყვნენ ისინი, იმდენადვე ჯანსავსე და მწვავე იყო მათი სიყვარული და როდესაც ბედი არ გაუმართლდებოდათ, მაშ რა ექნათ იმათ? ერთხელ იბადებოდნენ, ერთხელ უყვარდათ და, თუ ასეთი სიყვარული უიღბლო გამოდგებოდა, ილუპებოდნენ, იმუსრებოდნენ და თავის დაღუპვას წინასწარვე შავის ცრემლით დასტიროდნენ.

ყაზბეგი-რომანტიკოსი უმთავრესად სიყვარულის მომღერალი ტრუბადურია, რადგან სიცოცხლის აზრს იგი სიყვარულში ჰპოვებს და მის შესახებ წერა მხოლოდ რუსთაველური თავდავიწყებით ,თუ შეიძლება. მაგრამ რუსთაველსა და ყაზბეგს შორის არის ერთი დიდი განსხვავება, რომელიც მათ ძირეულად აშორებს ერთურთს. რუსთაველის გმირნი პირმშონი არიან უმთავრესად წრისა და არა ბუნებისა, ყაზბეგისა კი—შვილნი არიან უმთავრესად ბუნებისა და არა წრისა. ისინი წრესთან კონფლიქტში იმყოფებიან.

მიუხედავად რუსულ და სკანდინავიურ ლიტერატურათა დიდი პეიზაჟური ტრადიციებისა, იშვიათად, რომ სადმე მოიპოვებოდეს ისეთი მესაიდუმლე ბუნებისა, როგორიც ალექსანდრე ყაზბეგია, იშვიათად, რომ ვინმე ასე ღრმად განიცდიდეს მჭიდრო კავშირს, მჭიდრო კონტაქტს ადამიანსა და ბუნებას შორის.

ბუნების ასეთი ტრფიალება ძალაუნებურად მოგვაგონებს ბუნებისავე მეორე დიდ მხატვარს ვაჟა-ფშაველას.

თუ ყაზბეგის ბუნება დიდის გრძნობიერებით არის გამსჭვალული ადამიანისა და, საერთოდ, ყოველგვარ სულდგმულისადმი, ვაჟას ბუნება თვით არის სულდგმული, რომელიც ჭურჭელია იდეათა, სამყაროა იდეებისა—ვაჟას ბუნება მუდამ გააზრებულია რაიმე ატავისტურად მოღწეულ ხალხურ დიადი მითოსით, იგი გაარსებულია ფოლკლორითა და მითოლოგიით. ყაზბეგის ბუნება პირიქით ღრმად ადამიანურია, იგი გააზრებულია ეტნოგრაფიზმითა და ადათებით. იგი უდიდესი მეგობარია ადამიანისა და ხშირად ადამიანისაგან მხოლოდ იმითი განსხვავდება, რომ მას მეტყველების უნარი არ გააჩნია.

ვაჟას ბუნება აზრთა და იდეათა აღმძვრელია, ყაზბეგისა გრძნობათა გამღვიძებელი. ვაჟას ბუნებას ადამიანი განიცდის, ყაზბეგის ბუნება თითქმის ადამიანია, რადგან ყაზბეგისათვის ადამიანი ისეთივე ნაწილია ბუნებისა, როგორც ბალახი, ნადირი, ფრინველი ანდა ჩანჩქერი.

ალექსანდრე ყაზბეგისათვის ბუნება თვითონ სიცოცხლეა და ის, რაც სიცოცხლის ნიშანწყალს ატარებს, მას განუსაზღვრელად იტაცებს, ახარებს. იგი მზადაა დაეცეს მიწაზე, აკოცოს მას, ეამბოროს კლდეს, ხესა და ყვავილს, რომელსაც იგი სურნელს უწოდებს. ხოლო ის, ვინც, უდიერად ეპყრობა ბუნებას, არღვევს, ან ღალატობს მის კანონებს, ისჯება, რადგან, თუ ცოცხალი ხარ, კიდევაც უნდა ემორჩილებოდე მის განაჩენს.

ალექსანდრე ყაზბეგი არ განასხვავებს ბუნებისაგან არამც თუ ადამიანს, არამედ თვით მის შინაბუნებასაც. და აი, როდესაც მაყვალამ უღალატა თავის ბუნებას, როდესაც იგი ცხოვრებისაგან, ვნებათაგან განდგომილ მოძღვარს ონოფრეს შეეხიზნა და მისნი საქმენი გაიზიარა, იგი სასტიკად დაისაჯა, დაისაჯა, რადგან მან, ადამიანმა უარჰყო, თითქოს დავიწყებას მისცა თავისი ადამიანური გრძნობები, მოატყუა თავისი თავი და მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება არჩია მოძღვრის უვნებო და ცივ სამყოფელში. მან, სიყვარულისათვის, ხორციელ ცხოვრებისათვის დაბადებულმა, საყვარელ არსებისადმი გრძნობა მოყვასისადმი თანაგრძნობაში გასცვალა და მით დასწიხლა კანონი სიცოცხლისა. მაყვალა ამის გამო ისევე დაისაჯა, როგორც ელეონორა, რადგან სიყვარული მუდამ მართალი უნდა იყოს, მუდამ უანგარო, რადგან უანგაროა არა მხოლოდ ბუნება, არამედ მისი პირმშოც,—ჭეშმარიტი ბუნება ჭეშმარიტი ადამიანისა.

განა ამ მისწრაფებამ სიცოცხლისადმი, ციციასადმი არ ააკვნესა ასე მტკივნეულად უბირი ჩეჩნი სულთი?

— რაი ვქნა, რა ჩემი ბრალია? რაისთვი ხარ ეგეთი ლამაზი?

ციცია უყურებდა გაშტერებული, სიბრალულით. ისა ხედავდა გამშაგებულ ლომს, რომელსაც მძვინვარება ვერ შეეყენებინა, ვერ დაემორჩილებინა.

— რაი გიყო, რაი ვქნა?—ხელების მტვრევით და დაფანტვით წამოიძახა ციციამ.

ციცია ხელებს იმიტომ იმტვრევდა სასოწარკვეთილებით, რომ იცოდა სულთი მართალი იყო, მართალი იყო, რადგან უყვარდა იგი და, თუ უყვარდა, მაშინ მართლაც რა ექნა ვაჟკაცს? მას ებრალებოდა სულთი, მაგრამ თანაგრძნობა არ შეეძლო, რადგან მისი გული უკვე ბექას ეკუთვნოდა.

მაყვალასაც უყვარდა ონისე, მაგრამ მან ძალა დაატანა თავის თავს ისევე, როგორც ელეონორამ და ნამდვილი ბუნებრივი გრძნობის ჩახშობა მოისურვა. თუ მაყვალამ თავისი გრძნობა ღვთის სამსახურს ანაცვალა, ელეონორამ თავის ცრუ თავმოყვარეობას შესწირა იგი. მაყვალამ უღალატა სწორედ იმას, ვისაც თავის „ნამუსზე მეტად უყვარდა", რადგან ნამუსი ისეთი ქმრის ერთგულება კი არ არის, რომელიც არ გიყვარს, ნამუსი ის არის,—ეკუთვნოდე იმას, ვინც მართლა გიყვარს. და მაყვალამ სწორედ ეს ნამდვილი ნამუსი შელახა თავის არსებაში, მან ღმერთს შესწირა თავისი თავი და მის სამყოფელში იწყო ძიება დაქანცული სულის მყუდროებისა.

თითქოს იგი მართლაც დამშვიდდა, დამშვიდდა იმ დროს, როდესაც ონისე რამინივით შეიშალა მისდამი ტრფობით, როდესაც იგი ტყე-ველად იყო გაჭრილი და ბუნებაში ჰპოვებდა ნუგეშსა და იმედს.

„ათასში ერთხელ ველად გავარდნილს ნადირსავით, თვალს თუ მოჰკრავდა ვინმე, თორემ სალაპარაკოდ ხომ ველარავინ დაუახლოვდებოდა"—ამბობს ყაზბეგი.

ამგვარად დაუპირისპირდნენ ერთურთს ონისესა და მაყვალას სახით ბუნება და სულის მოძღვარი.

„წუთის დასუსტების შემდეგ—ონისე—ამაყად თავაღებულად წამოდგებოდა, გაიმართებოდა წელში და მედგრად წარმოსთქვამდა:

„მაყვალა მიყვარს და ჩემი უნდა იქმნას!—და ამ სიტყვებში სჩანდა წარმოთქმულის ძალა, შეუყენებელი და შეუდრეკელი.

და აი ერთ საშინელ ბობოქარ ღამით ეს ძალა, ძალა სატანიური, დაიძრა მოძღვრის სათნოებით აღსავსე სამყაროს წინააღმდეგ. იმ სამყაროსი, სადაც მაყვალას ავხორცი და უტიფარი სიტყვებით მოალერსე ელოიზასავით შეეფარებინა თავი. მაგრამ ონისე ბერი აბელარი როდი იყო, რომ ბედის განაჩენს ასე ბრმად შერიგებოდა და მონასტერში დათესლებულ დემონივით სატანიური ცოდვის ცეცხლი დაენთო. ასეთი ორპირობა ონისეს არ შეეძლო.

„მაყვალა დიდი ხანია ქვეყნისთვის მკვდარი იყო, განშორებოდა სოფლის ვნებას და, თუმცა ქვეყნად დადიოდა, მაგრამ ქვეყნის ფუფუნებისათვის აღარ ეცალა.

„ამ ქალს მოეკლა, ჩაემარხა ყოველისფერი, რაც კი ხორცს სიტკბოების ნეტარებას აძლევს, უარეყო კაცის უტკბილესი მოთხოვნილებანი და, ხორცის მომკვლელ, სულის ამაღლებას და დიდებას შესდგომოდა.

„მაშ რაღა უნდოდა?..

„არ იცოდა, მაგრამ მოლოდინი კი ჰქონდა რაღასიცა და ეს მოლოდინი არ იყო გულს ნაზად მრხეველი, მისი დამყავებელი და ნეტარების მქადნელი.

„...ჩაბნელდა და ჩაიბურა. ბუნებამ ისევ გამძვინვარებით ღრიალი დაიწყო, ცას ცრემლი ნაკადულად გადმოსცვიოდა და ქარმა გლოვიარის გოდება და ზუზუნი დაიწყო... მცირე ხანი და მას შეუერთდა კივილი ღონემიხდილის ქალისა... ხმა ქარმა გაიტაცა ყრიალით და, ვინ იცის, საით გადაჰქმანჯა. კიდევ ხმა კივილისა და ზედ მოჰყვა დამაყრუებელი დაჭექება, იფეთქა ელვამ და ქვეყანა უფსკრულში გაიხვია".

მაყვალა დაიღუპა, დაიღუპა ბუნებასთან უსწორო ბრძოლაში, იმ ბუნებასთან, რომელმაც ონისესავით სასიკვდილოდ გაიმეტა იგი და თან ცრემლი ნაკადულად დააყარა, ხოლო ქარმა მგლოვიარის გოდებით დაუზუზუნა. ბუნებასთან შეკავშირებული ონისე მთელი თავისი საშინელი ძალით აღიმართა მოძღვრის სამყოფელის წინააღმდეგ და მაყვალასთან ერთად გააცამტვერა იგი. მოსპო უსაყვარლესი არსება, ტაძარი ცოდვისა ქცეული სათნოების სამყოფელად, გაანადგურა, რადგან მან უღალატა არა მხოლოდ ონისეს, არამედ თვით თავის თავსა და თავის ალალ გრძნობებსაც.

გამარჯვება ბუნებას დარჩა, სიცოცხლეს დარჩა. მერე რა, რომ ეს გამარჯვება სიცოცხლისა სიკვდილით დასრულდა. განა თვითონ შემოქმედი, თვით ალექსანდრე ყაზბეგი, უკვდავი არ იყო და მაინც მოკვდა, მოკვდა ჯერ სულიერად და მერე ხორციელადაც? განა შემოქმედება თვით შემოქმედის სულიერი სამყაროს გადმოშლა არ არის? ამ შემთხვევაში ასეთია ერთი მხარე ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი კონცეპციისა.

დიდი მებატონის, დარიალანის დიდი მეკარის გაბრიელ ჩოფიკაშვილის ჩამომავალი. შემდეგ მოსკოვ-პეტერბურგის ბომონდის ლომი თავის ცხოვრებას მწყემსობით, მედუქნეობით და მოიჯარადრეობით აგვირგვინებს. როცა არც აქ გაუმართლა ბედმა, უფრო,—ვერ შეეგუა ამ ყოფას, მან თბილისში ახლად გახსნილ ქართულ თეატრს მიაშურა, მაგრამ აქ არც მის დრამებს, არც მის თამაშს, გარდა მისი ლეკურისა, არავინ ყურადღებას არ აქცევდა. როცა ვერც აქ გამოამჟღავნა თავისი ნიჭი, ყველასგან აბუჩად აღებული, ხელჩაქნეული, სერგეი მესხის რედაქციას შეეკედლა და აქედან იწყება ის საოცარი ნაყოფიერება და ნიჭის სრული გამომჟღავნება, რომლის გამო დიდ გრიგოლ ორბელიანს აღტაცებით ამოხდა:

— ქართველების ომიროს არის. შაბაშ!

(„ლიტ. და ხელ." გვ. მე-8-ე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ნ. ბაჩელისი—„ბრძოლა მოსკოვისათვის"

ქართულ ენაზე გამოვიდა ნ. ბაჩელისის წიგნი „ბრძოლა მოსკოვისათვის".

1941 წლის შემოდგომაზე ფაშისტი დამპყრობლების შეჯავშნული ურდოები ეკვეთნენ საბჭოთა კავშირის დედა-ქალაქის რკინის კედლებს და პირველად აქ გაიტეხეს შუბლი, ხოლო შემდეგ შეტევაზე გადასულმა წითელმა არმიამ მოსკოვთან შემუსრა ფაშისტი ყაჩაღების ურდოები და სასტიკი დამარცხება აგემა მათ. მოსკოვთან დამარცხებამ გააცამტვერა გერმანელი ყაჩაღების გეგმა საბჭოთა ქვეყნის დაპყრობის შესახებ. ფაშისტური ჯარი ისე სასტიკად დაამარცხა საბჭოთა არმიამ, რომ ამის შემდეგ ჰიტლერელებმა წელში გამართვა ვეღარ შესძლეს. მოსკოვის გმირულმა დაცვამ შექმნა ახალი ვითარება მსოფლიო ომის შემდგომ მსვლელობაში.

ჰიტლერმა მოსკოვს მიუსია თვრამეტი სატანკო და მექანიზებული დივიზია და 33 ქვეითი დივიზია, სულ 51 დივიზია. მაგრამ საბჭოთა ხალხი არ შედრკა. დაიწყო ჩვენი დროის უდიდესი ბრძოლა, ბრძოლა მოსკოვისათვის.

„დედა-ქალაქის ათეული ათასი მცხოვრები, —ვკითხულობთ სარეცენზიო წიგნში,—გამოვიდა სანგრების, თხრილების, არხების სათხრელად. ქარხნებისა და ფაბრიკის მუშათა თავისუფალი ცვლები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და სტუდენტი ქალები, დიასახლისები, ხნიერები და მოზარდები,—ყველანი მიდიოდნენ თავიანთი ვალის შესასრულებლად. გაკაჟებული ენერგიით შეუდგნენ ისინი საქმეს, აგებდნენ ძელმიწურ საცეცხლე წერტებს, სთხრიდნენ ტანკსაწინააღმდეგო თხრილებს, ასობდნენ მორებს, სჭრიდნენ ხეებს, ხერგავდნენ ადგილებს, ამზადებდნენ საარტილერიო პოზიციებს, სთხრიდნენ სანგრებს. თვით ქალაქში—ქუჩებზე, მოედნებზე, გზაჯვარედინზე აგებული იყო ბარიკადები... მუშა, პროფესორი, ბუღჰალტერი, პედაგოგი, დიასახლისი, ინჟინერი,—ყველანი მუშაობდნენ უმაგალითო თავდადებით. ისინი თავის თავს სთვლიდნენ თავისი მოსკოვისათვის, სამშობლოსათვის მოლაშქრე მებრძოლებად.

ვერც წვიმებმა, ვერც ნისლმა და ვერც ადრე დამდგარმა ყინვებმა ვერ შეუშალეს ხელი მათ. დაღლას ვერ გრძნობდნენ, არავითარ სიძნელეებს ანგარიშს არ უწევდნენ და ასეთ სამუშაოებს შეუჩვეველი ადამიანები მაინც აჭარბებდნენ ყოველგვარ ტექნიკურ ნორმებს".

ასე აღსდგა დედა-ქალაქის დასაცავად მოსკოვის მთელი მოსახლეობა. და სულ მოკლე დროში მოსკოვის ირგვლივ გაჩნდნენ ძლიერი თავდაცვითი ნაგებობანი. მტერი თანდათან მოიწევდა წინ. მოსკოვში შეიქმნა სახალხო ლაშქარი. სწრაფად ჩამოაყალიბეს მუშათა ბატალიონები, რომლებიც იარაღით ხელში წავიდნენ ფრონტზე.

1941 წლის ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე დაიწყო გერმანელების გააფთრებული შეტევა მოსკოვის ხელში ჩაგდებისათვის. შეტევას წითელმა არმიამ ორმაგი დარტყმით უპასუხა. 19 ოქტომბერს გამოცხადებულ იქნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება, რომ მოსკოვის დაცვა მინდობილი აქვს არმიის გენერალს ჟუკოვს. დედა-ქალაქში შემოღებულ იქნა საალყო წესები. გერმანელთა შეტევის ამ მძიმე დღეებში დადგა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24 წლისთავი. კაციჭამია ჰიტლერმა გადასწყვიტა ჩაეფუშა ხალხის დღესასწაული და გასცა ბრძანება—7 ნოემბრისათვის აეღოთ მოსკოვი.

მთელი მსოფლიო ყურს უგდებდა მოსკოვთან ბრძოლას და ყოველ წუთს მოელოდნენ, თუ რა მოხდებოდა. ამ მძიმე წუთებში 1941 წლის 6 ნოემბერს საღამოს მოსკოვის საბჭოს სხდომაზე, ხოლო 7 ნოემბერს წითელ მოედანზე გაისმა დიდი ბელადის გამამხნევებელი სიტყვები საბჭოთა ხალხისა და მსოფლიოს ყველა დაჩაგრული და დამონებული ხალხის მიმართ. დიდი სტალინის გამოსვლამ 6 და 7 ნოემბერს უფრო გაამხნევა და აღაფრთოვანა გმირი ქალაქის დამცველები.

16 ნოემბერს მტრის სატანკო კოლონები ვოლოკოლამსკის გზატკეცილით ვაეშურენ მოსკოვისაკენ. მათ უნდოდათ სწრაფად შეჭრილიყვნენ დედა-ქალაქში. მაგრამ პანფილოველებმა გადაუღობეს მათ გზა. სტალინმა გასცა ბრძანება—შეეჩერებინათ გერმანელები, და ჰიტლერელთა წინ აღიმართა საბჭოთა დაცვის უძლეველი რკინისებური კედელი.

ჰიტლერის გენერალურ შტაბს ცოფი მოერია. გადააჯგუფეს თავიანთი ძალები და მოამზადეს ერთი შეტევა კიდევ მოსკოვზე. ნოემბრის შუა რიცხვებში ჰიტლერმა კვლავ გასცა ბრძანება, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, უახლოეს დროში ბოლო მოეღოთ დედა-ქალაქ მოსკოვისათვის. უამრავ იარაღს, უთვალავ ტანკს, თვითმფრინავსა და ქვემეხს მოუყარეს თავი მოსკოვზე უკანასკნელ კვეთებისათვის. ჰიტლერელები სამი მხრით შემოერტყნენ მოსკოვს: ჩრდილოეთ-დასავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. გერმანელების ურდოები დედა-ქალაქის გულისაკენ მიიწევდნენ, ზოგ ადგილზე ქალაქს 40-25 კილომეტრით მიუახლოვდნენ. 2 დეკემბერს ბერლინის გაზეთებში დატოვებული იყო ცარიელი ადგილები—ელოდნენ ცნობას მოსკოვის აღების შესახებ, რომ საჩქაროდ ეცნობებინათ გერმანიისათვის გამარჯვება.

მაგრამ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა გერმანელ ფაშისტებზე გენიალური და გაბედული დარტყმის გეგმა. და როდესაც ფაშისტები ფიქრობდნენ, რომ ესეს არის შევძლოდნენ მოსკოვში, 6 დეკემბერს წითელმა არმიამ სასტიკი დარტყმით დაიწყო შეტევა. საბჭოთა არმიამ ისე მაგრად შეუტია გერმანელებს, რომ ისინი პანიკით მოცულნი გარბოდნენ და სტოვებდნენ ტანკებს, ქვემეხებს, საწყობებს და სხვა საჭურველს.

გერმანელები განუწყვეტლივ იხევდნენ უკან მოსკოვთან ფაშისტებმა ასიათასობით დაჰკარგეს ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა დარტყმა მოულოდნელი და გამანადგურებელი იყო. ამ დარტყმით გერმანელები უკუგდებულ იქნენ მოსკოვიდან შორს. ჰიტლერის გეგმამ სრული მარცხი განიცადა. საბჭოთა ხალხმა გმირულად დაიცვა თავისი დედა-ქალაქი—მოსკოვი. ჰიტლერის ჯარებმა, რომლებიც თავიანთ თავს „უძლეველად" სთვლიდნენ, ომის განმავლობაში განიცადეს პირველი დიდი დამარცხება. ზღაპარი გერმანელთა „უძლეველობის"—შესახებ გაჰქრა, გაიფანტა.

სტალინური სტრატეგიისა და ტაქტიკის შედეგად წითელი არმიის გამარჯვებამ მოსკოვთან გამოიწვია ჰიტლერელებისაგან დამონებული ხალხის სიხარული და აღფრთოვანება. მოსკოვთან წითელი არმიის გამარჯვება იყო წითელი არმიის მთელი შემდგომი გამარჯვების წინაპირობა. ეს იყო საფუძველი იმ გამარჯვებათა, რომლებიც წითელმა არმიამ მოიპოვა სტალინგრადთან, ჩრდილოეთ კავკასიაში, დონის ველებზე, დონბასში, ლენინგრადთან, ტიხვინთან და ყველა დანარჩენ ფრონტებზე.

ბაჩელისის სარეცენზიო წიგნი „ბრძოლა მოსკოვისათვის" დაწვრილებით მოგვითხრობს იმ უდიდესი გამარჯვების შესახებ, რომელიც მოსკოველებმა და წითელმა არმიამ მოიპოვეს დედა-ქალაქის მოსკოვის გმირული დაცვის დღეებში. წიგნი დაყოფილია თავებად და თვითეული თავი ამომწურავ პასუხს იძლევა მოსკოვის დამცველთა საგმირო საქმეების შესახებ.

ვ. გაგაშელი

სანიტარული კულტურის თეატრში

ფართო მაყურებლისათვის საკმაოდ ცნობილია თეატრი, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვიქტორ ნინიძე.

ამ თეატრს თავისი რეპერტუარი ძირითადად აგებული აქვს ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარული განათლების თემაზე. მაღალ-ხარისხოვანი მუშაობის შედეგად თეატრი მიაკუთვნეს დრამატიული თეატრების მეორე კატეგორიას.

თეატრს ჰყავს კვალიფიციურ მსახიობთა ძლიერი კოლექტივი.

თეატრის ფოიეს ორ დარბაზში მოწყობილია მეტად საინტერესო და მდიდარი გამოფენა — მუზეუმი ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარული განათლების ყველა თემაზე, სადაც წარმოდგენის დაწყებამდე და ანტრაქტებში ექიმი სპეციალისტები ლექცია-საუბრებს აწყობენ და ახსნა-განმარტებას აძლევენ მაყურებლებს.

სანგანათლების თემაზე თეატრის რეპერტუარიდან აღსანიშნავია: შ. დადიანის „აჯილღა". გომართლის „შეხვედრა", ბრაგინისა და ტოვსტონოგოვის „ვერბიცკის ცდები", ქოჩარიანის „ბრმა მუსიკოსი" და სხვ.

თეატრი ხშირად სდგამს სხვა თემატიკის პიესებსაც, რომელთა შორის დიდი წარმატებით სარგებლობენ: ვოინიჩის „კრაზანა", ტ. რამიშვილის კომედია „სტუმარ-მასპინძლობა", გ. შალიკაშვილის „უნიადაგონი" და სხვ.

თეატრის წარმოდგენებს მრავალი მაყურებელი ესწრება. მიმდინარე წლის დამლევამდე თეატრი გვიჩვენებს ორ ახალ დადგმას: ამ დღეებში მაყურებელი ნახავს ვ. პატარაიას მიერ სხვადასხვა ავტორის ერთმოქმედებიანი პიესებისა და სკეტჩებისაგან შედგენილ მთლიან სპექტაკლს-მინიატურას, რომელსაც რეჟისორი გ. ვარძიელი სდგამს. მორიგ პრემიერად წავა აგრეთვე ქოჩარიანის პიესა „რაისა ტარასოვა", სადაც ასახულია მედიცინის მუშაკთა გმირობა სამამულო ომის ფრონტზე. პიესას სდგამს ვ. ნინიძე.

მწერალთა კავშირში

ფრონტელთა ლექსების კითხვის საღამო

შაბათს, 25 დეკემბერს, მწერალთა კლუბში ეწყობა სამამულო ომის ფრონტებიდან მებრძოლთა მიერ გამოგზავნილი ლექსების კითხვის საღამო.

ლექსების კითხვას ჩაატარებს საქართველოს სახალხო პოეტი **გალაკტიონ ტაბიძე.** შემდეგ გაიმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა.



ალექსანდრე ყაზბეგი მწყემსობის დროს.

შიო მღვიმელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

29 დეკემბერს სრულდება ათი წელი შიო მღვიმელის გარდაცვალებიდან. მწერალთა კავშირი თავის კლუბში ამ თარიღის აღსანიშნავად მართავს ლიტერატურულ საღამოს. მოხსენებას შიო მღვიმელის საბავშვო ლექსების შესახებ წაიკითხავს ამხ. ე. ასტვაცატუროვი, ხოლო შიო მღვიმელის იმ ლექსების შესახებ, რომელიც მოზრდილთათვის არის დაწერილი, მოხსენებით გამოვა ი. გრიშაშვილი. სიტყვებით გამოვლენ და ლექსებს წაიკითხავენ: ნინო ნაკაშიძე, გრ. აბაშიძე, ი. სიხარულიძე, გ. კაჭახიძე, რ. ქორქია, ლ. მეგრელიძე, მარიჯანი, მაყვალა მრევლიშვილი, მარიკა ბარათაშვილი, ა. ხახუტაშვილი, ნ. ჩაჩავა, ქეთო ქუჩუკაშვილი, ს. ავჩიანი, მარიკა მიქელაძე და სერებრიაკოვი. დასასრულს მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები წაიკითხავენ შიო მღვიმელის ლექსებს.

ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების 50 წლისთავის აღსანიშნავი საღამო

23 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა მწერალთა კლუბში მოაწყო ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის შესრულების აღსანიშნავი საღამო.

საღამო გაიხსნა ლეო ქიაჩელის შესავალი სიტყვით.

წაკითხულ იქნა ორი მოხსენება: დემნა შენგელაიასი—„ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება" და იოსებ გრიშაშვილისა — „ალექსანდრე ყაზბეგი და ქართული თეატრი".

ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები, აკაკი გაწერელია, სურენ ავჩიანი, იოსებ იმედაშვილი და თედო სახოკია.

საღამოს მრავალ რიცხოვანი საზოგადოება დაესწრო.

კადრი ფილმიდან „გიორგი სააკაძე" (მეორე სერია).

ქრონიკა

დასავლეთის ფრონტზე

„საბჭოთა მწერალმა" გამოსცა გიორგი ნატროშვილის ახალი წიგნი „დასავლეთის ფრონტზე" (ფურცლები დღიურიდან). წიგნი წარმოადგენს საფრონტო ნარკვევების კრებულს. მასში არის შემდეგი თავები: სიკვდილის ნაკვალევზე, მფრინავის დაბრუნება, შეხვედრა მიწურში, დიდი ფრიცი, ქართველი ჯარისკაცი, ოფიცრის სიკვდილი, ცოცხალი ნაღმსაძებრები, სიკვდილი პატარა სოფლისა, ჩვეულებრივი გერმანელი, ჩვენი დობილი.

წიგნი ღირს ათ მანეთად.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობა" რუსულად

იოანე ბატონიშვილის „კალმასობის" რუსული თარგმანი თხუთმეტი ფორმის მოცულობით შესრულებულია ვ. დონდუას მიერ. „კალმასობის" თარგმანს პროფ. ა. ბარამიძის რედაქციით გამოსცემს „ზარია ვოსტოკა".

შექსპირის ნაწარმოებთა ახალი თარგმანი

გივი გაჩეჩილაძემ სთარგმნა ინგლისურიდან შექსპირის ცნობილი კომედია „აურზაური არაფრის გამო". დაახლოვებით პიესის მესამედი თეთრი ლექსითაა შესრულებული, როგორც ორიგინალში, დანარჩენი—პროზით. დეკემბრის პირველ ნახევარში კომედია დასდგა აფხაზეთის სახელმწიფო თეატრმა ქ. სოხუმში, დამდგმელი—ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟ. ს. ჭელიძე.

გივი გაჩეჩილაძე მუშაობს შექსპირის ლირიკული ტრაგედიის „რომეო და ჟულიეტას" და „ქარიშხლის" ახალ ქართულ თარგმანზე.

ნაპოლეონის რჩეული ნაწერები ქართულად

დღემდე ქართულად არ ყოფილა გამოცემული უდიდესი მხედართმთავრის ნაპოლეონის არც ერთი ნაშრომი სამხედრო ხელოვნების შესახებ. ამ ნაკლს ავსებს გამომცემლობის „ტექნიკისა და შრომის" მიერ ნაპოლეონის რჩეული ნაწერების პირველი ტომის ქართული თარგმანი, რომელიც ოთარ ეგაძის რედაქტორობით გამოდის.

წიგნს, რომელიც 359 გვერდს შეიცავს და რომელსაც 13 რუკა აქვს დართული, აკადემიკოს ტარლეს მიერ ქართული გამოცემისათვის სპეციალურად დაწერილი წინასიტყვაობა ექნება წამძღვარებული, ნაწერები ჰ. ხუნდაძის მიერაა თარგმნილი.

„ზარია ვოსტოკას" გამომცემლობა

„ზარია ვოსტოკას" მხატვრული ლიტერატ რის გამომცემლობა უახლოეს ხანებში რუს ენაზე გამოსცემს: ვაჟა-ფშაველას პოემას „ბ ტრიონს" (თარგმანი ვლ. დერჟავინისა), გრ გოლ აბაშიძის პოემას „გიორგი მეექვს (თარგმანი რ. ივნევისა), გიორგი ლეონიძ პოემას „ბავშვობას და ყრმობას" (თარგმ გ. ცაგარლისა) და კონსტანტინე გამსახურდი რომანს „დიდოსტატის მარჯვენას" (თარგმ ვ. თვალავაძისა); გარდა ამისა, წარმოებას გ დაეცა ა. წერეთლის პოემა „ნათელა" (თა გმანი ბ. ბრიკისა).

სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომების მესამე ტომი

დაიბეჭდა და გამოვიდა პუშკინის სახელ ბის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლ ინსტიტუტის შრომების მორიგი მესამე ტ კრებულში მოთავსებულია შემდეგი შრომე გ. ბურჭულაძე — პრუსიულ-იუნკრული ლიტარიზმი და გერმანულ-ფაშისტური იმპ რიალიზმი; მ. ალექსიშვილი — ფაშიზმის ა ტი-დემოკრატიული კონცეპცია და ძველი ტორია; გ. ნათაძე — მოძღვრება სახელმწ ფოს შესახებ „ვეფხის-ტყაოსანში", შ. ჩხეტ — საქართველოში ბურჟუაზიული კულტურ გენეზისის საკითხისათვის; ლ. მელიქსეთ-ბე — მეგალითური კულტურა საქართველოში მისი გადანაშთები რუსთაველის ეპოქაში; მ ჩიქოვანი — ფოლკლორის შესწავლის პრობ ლემა; გ. ახვლედიანი — დ. ჭონქაძის ადგილ ოსური ენის შესწავლის ისტორიაში; ქ. კაპ ნელი — ბრძოლისა და სამშობლოს იდეა ქარ თულ ლიტერატურაში; ტ. რუხაძე — „დავ თაინის" ლიტერატურული წყაროებისათვის რ. ნათაძე — მფრინავის პროფესიის თავის ბურებანი თანამედროვე ფსიქოლოგიის მონ ცემებით; ნ. ჯანგველაძე — საბჭოთა ოჯა ხის მონაწილეობა ბავშვის აღზრდაში; ი. ა ნაიშვილი — წრფელობითი ბრუნვის საკით საკუთარ სახელებში; ა. გახოკიძე — სუფ ნავთობა, როგორც ნედლეული არომატულ ნახშირწყალბადების მისაღებად; ა. ბარკალა — მოვლენათა მწკრივის შესახებ, და სხვ.

წიგნი შეიცავს 320 გვერდს, დაბეჭდილ სუფთად თეთრ ქაღალდზე და 25 მან. ღირს.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

ვახტანგ ბერიძე

ქართული ხელოვნების ძეგლებს ჩვენი წარსულის კულტურულ მემკვიდრეობაში ფრიად საპატიო ადგილი უჭირავთ. ისინი უკვე კარგახანია მეცნიერთა ყურადღებას იპყრობენ და მათი შესწავლა ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. მას შემდეგ მუშაობა თითქმის შეუწყვეტლივ მიმდინარეობდა და რევოლუციის წლებში საკმაო მასალა დაგროვდა კიდეც. მაგრამ, რა თქმა უნდა, ცარიზმის პირობებში ეს დიდი კულტურული საქმე მხოლოდ კერძო პირთა ან ცალკეულ სამეცნიერო საზოგადოებათა ინიციატივით თუ სრულდებოდა. ქართული ხელოვნების ნამდვილი ღირებულება და მნიშვნელობა, ქართული ხელოვნება, როგორც ხალხის დიდი შემოქმედებითი ძალის ბრწყინვალე გამოსახულება, მთელი სისრულით მაინც თითქმის არავის შეუფასებია. მართალია, ქართველ, რუს და უცხოელ მკვლევართა თავდადებული მუშაობის წყალობით, ჩვენი ძველი ხელოვნების ბევრი, მანამდე უცნობი ძეგლი გამომჟღავნდა და მრავალ საკითხს მოეფინა ნათელი, მაგრამ შეკრებილი მასალა, მცირე გამონაკლისს გარდა, სპეციალური, სახელოვნებათმცოდნეო თვალსაზრისით არ ყოფილა დამუშავებული. ამ მასალას აკლდა მეცნიერული განზოგადოებაც. ასე რომ ფაქტიურად ოქტომბრის დიდ რევოლუციამდე ქართული ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც თანამედროვე სამეცნიერო მოთხოვნილებათა დონეზე მდგომი დისციპლინა, არც-კი არსებობდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა განსაკუთრებული ყურადღება ჩვენი მატერიალური კულტურის ძეგლთა გამოკვლევასა და დაცვას. და ეს საქმე რომელიც წინათ, როგორც აღვნიშნეთ, კერძო ინიციატივის ფარგლებს ვერ სცილდებოდა, ახლა სახელმწიფო მნიშვნელობის მქონედ იქნა აღიარებული: თბილისის უნივერსიტეტში მისი დაარსების პირველსავე წლებში შეიქმნა ხელოვნებათმცოდნეობის კათედრა და კაბინეტი, რომელიც გადაიქცა ქართულ სიძველეთა შესწავლის ნამდვილ სამეცნიერო-საკვლევ კერად. კაბინეტში დაწყებული მუშაობა შემდეგ გააგრძელეს თბილისის სამხატვრო აკადემიამ, საქართველოს მუზეუმმა, ხელოვნების მუზეუმმა „მეტეხმა", კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებამ და საქართველოს ხუროთმოძღვართა კავშირმა. მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვა და გამოკვლევა ამიერიდან უკვე ფართო მასშტაბით გაიშალა: სისტემატიურად ეწყობოდა ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხელოვნებისმცოდნეთა და არქიტექტორთა მონაწილეობით, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით გაიზომა რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი, გადმოღებულ იქნა ქართული კედლის მხატვრობის უმთავრეს ძეგლთა ასლები, თავი მოეყარა ქართული ოქრომჭედლობის, ხელნაწერებისა და ხელსაქმის შესანიშნავ ნიმუშებს, გაიმართა რამდენიმე დიდი გამოფენა (თბილისში, ლენინგრადში, 1930 წელს—ევროპის ქალაქებში).

რა თქმა უნდა, ქართული ხელოვნების ნამდვილი სურათი, მისი რეალური მოცულობა და ადგილი შუასაუკუნეთა მსოფლიო ხელოვნებაში მხოლოდ ამის შემდეგ გამომჟღავნდა, ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი მისი ევოლუციის ცალკეული ეტაპების დადგენა, სტილისტიკური გაანალიზება და იმავე დროს საუკუნის განმავლობაში შემუშავებულ და ფესვგადგმულ თეორიათა მცდარობისა და სიყალბის გამოაშკარავება.

მაგრამ რაც უფრო ღრმავდება ქართული ხელოვნების შესწავლა, მით უფრო ფართო პერსპექტივები იშლება მკვლევართა წინაშე და ყველასათვის, ვინც კი ცოტად თუ ბევრად იცნობს ამ დარგს, ნათელია, რომ ჯერ კიდევ მრავალი თაობის დაუცხრომელი მუშაობა იქნება საჭირო იმ დიდი განძის ასათვისებლად, რომელიც დღემდე შენახულა ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრების, მხატვრობისა, ოქრომჭედლობისა და სხვა ხელოვნებათა ძეგლების სახით. და სწორედ ამიტომ უაღრესად დროული იყო მთავრობის გადაწყვეტილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ქართული ხელოვნების საკვლევად საგანგებო სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ. ამგვარ ცენტრს, რომელიც აერთიანებს ამ დარგში წარმოებულ მთელ საკვლევაძიებო მუშაობას, წარმოადგენს 1941 წლის აპრილში დაარსებული „ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი" (თავდაპირველად მას „სექტორი" ეწოდებოდა).

ინსტიტუტმა, რომელსაც სათავეში უდგას ცნობილი მკვლევარი, ქართულ ხელოვნებათმეცნიერების ფაქტიური ფუძემდებელი აკად. გიორგი ჩუბინაშვილი, რამდენიმე ძირითადი ხაზით წარმართა თავისი მუშაობა. ერთის მხრივ, იგი ყურადღებას ამახვილებდა ისეთ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტაც უკვე შემზადებულია ჩვენი მეცნიერების მიღწევებით და მომწიფებულია, როგორც ქართული ხელოვნებათმცოდნეობის მორიგი აქტუალური ამოცანა. ასეთია, თუნდაც მე-10-13 ს-თა ქართული ხუროთმოძღვრების სტილისტიკური ევოლუციის რთული და მრავალმხრივ საინტერესო საკითხი. ასეთივეა ფეოდალური ეპოქის ქართული კედლის მხატვრობისა და მცირე ხელოვნებათა (ხელნაწერები, ოქრომჭედლობა. ქსოვილები და სხვ.) საკითხები, რომელთა გაღრმავებული დამუშავება ჯერ კიდევ საწყის სტადიაშია. მეორეს მხრივ, სამეცნიერო ექსპედიციათა წყალობით ინსტიტუტი ახერხებდა ლიტერატურაში სრულიად უცნობი ხუროთმოძღვრული ძეგლების გამოვლინებას და, ამგვარად, ჩვენი ძველი ხელოვნების ისედაც მდიდარი სურათის შევსებასა და გამდიდრებას. დასასრულ, ინსტიტუტს მიზნად ჰქონდა დასახული მეცნიერული მუშაობისათვის აუცილებელი აპარატის შექმნა: ამ მიზანს ემსახურებოდა სალექსიკონო სამუშაო, ქართულ წარწერათა კრებულის შედგენა. ამავე მიზანს ექვემდებარებოდა ინსტიტუტის ბიბლიოთეკისა და ფოტოთეკის მუშაობა.

ინსტიტუტის არსებობის განმავლობაში შესრულებულ თემათაგან ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებთ:

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების დარგში: აკად. გ. ჩუბინაშვილის შრომა კუმურდოსა და ნიკორწმინდის ტაძრების შესახებ, სადაც ეს ორი ძეგლი განხილულია, როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ბაროკული ეპოქის სხვადასხვა საფეხურის ნიმუშები; მისივე გამოკვლევა ქართული ტაძრისათვის ინგუშეთის სოფ. ტყობაიერდში, რომელიც საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის კულტურული ურთიერთობისა და ქართული კულტურის ექსპანსიის უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემას ეხება; არქ. აკად. ნ. სევეროვის მიერ შესრულებული რეკონსტრუქციები წრომისა და ქუთაისის ბაგრატის ტაძრებისა; რ. შმერლინგის გამოკვლევა „ქართული ხუროთმოძღვრება" მე-12-13 ს-თა მიჯნაზე". (ამ შრომაში გაშუქებულია ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდთაგანი ჩვენი ძველი ხელოვნებისა — თამარისა და მის უშუალო მემკვიდრეთა ხანა, რომელსაც ისეთი საინტერესო ძეგლები მიეკუთვნება, როგორიც არის ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი, წუღრუღაშენი და ახტალა); რამდენიმე მონოგრაფიული შრომა მე-10-13 ს-თა ძეგლების შესახებ: რ. მეფისაშვილის „ვალე", ლ. რჩეულიშვილის „დავით აღმაშენებლის ასულის თამარის მშენებლობა სოფ. თიღვაში" და „რატი ერისთავთ-ერისთავის ნაგებობა თრიალეთის ახალქალაქში", ვახტ. ბერიძის „თბილისის ლურჯი მონასტერი" და „მაღალაანთ ეკლესია და კოშკები სოფ. წინარეხში". ცალკე უნდა აღინიშნოს კოლექტიური ნაშრომი, მიძღვნილი ტფილისის მეტეხთა ღვთისმშობლის ტაძრისადმი. ყველა თბილისელისთვის ასე კარგად ცნობილი „მეტეხი", რომელიც თითქმის შეეზარდა ჩვენი დედა-ქალაქის სილუეტს და მის აუცილებელ ნაწილად იქცა, მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია, იგი აგებულია საქართველოსთვის ფრიად მძიმე ხანაში—მონღოლთა მძლავრობის, ქვეყნის დარბევისა და ქონებრივი დაქვეითების დროსა (მე-13 ს-ის მიწურულში). წინა ეპოქის ძეგლებთან შედარებით, მხატვრული თვალსაზრისით, „მეტეხი" შეიძლება რამდენადმე დაბლაც იდგეს, მაგრამ. მიუხედავად ამისა, იგი აშკარად მოწმობს, რომ ასეთი განსაცდელის ჟამსაც-კი ქართული ხელოვნების მრავალსაუკუნიანი ტრადიციის ჯაჭვი მაინც არ იყო გაწყვეტილი. ასევე კოლექტიურად დამუშავდება ხობის მონასტერი (სამეგრელოში), რომელიც გაზომილ და გამოკვლეულ იქნა ამ წლის შემოდგომაზე.

მხატვრობის შესწავლის ხაზით ცენტრალური ადგილი ეჭირათ მე-14-15 ს-თა ძეგლებს (ლიხნის ფრესკები, უბისის ხატები. ამ დარგში ძირითადად მეცნ. თან. თ. ვირსალაძე მუშაობს), ხოლო მცირე ხელოვნებათა განხრით— ქართულ ხელნაწერთა დეკორის შესწავლას (რ. შმერლინგი). ეს დიდი თემა რამდენსამე საუკუნეს სწვდება, მე-10-დან მოყოლებული. გათვალისწინებულია ჩვენი ხელნაწერსაცავების ფონდთა მთლიანი აღრიცხვა, ხელნაწერთა მორთულობის ყველა დამახასიათებელი ნიმუშის გადმოღება და ამ მასალის საფუძველზე ქართული ხელოვნების ამ დიდად მნიშვნელოვანი და მდიდარი დარგის ევოლუციის გამოკვლევა.

პარალელურად სწარმოებდა მუშაობა მატერ. კულტურის ისტორიის სხვადასხვა საკითხზედაც (განსვენებული დ. მუსხელიშვილი, ს. ბარნაველი და სხვა), გრძელდებოდა ქართული ხელოვნების, ტექნიკისა და მატერ. კულტურის ლექსიკონის შედგენა წერილობითი ძეგლებიდან ამოკრებილი მასალის საფუძველზე. ამ ლექსიკონის დამუშავება განსვენებულ აკად. ი. ჯავახიშვილის ინიციატივითა და გეგმით დაიწყო და ახლა პროფ. ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით გრძელდება. დამუშავებული მასალა, რომელიც დაახლოვებით 400.000 ბარათს შეიცავს, უძვირფასეს განძს წარმოადგენს როგორც ქართული მატერიალური კულტურისა და ხელოვნების შესასწავლად, ისე საერთოდ ჩვენი წარსულის ყველა მკვლევარისათვისაც. ამგვარივე მნიშვნელობა აქვს უეჭველად ქართულ წარწერათა კრებულს, რომლის შედგენაზედაც ინსტიტუტის თითქმის მთელი კოლექტივი მუშაობს (დოც. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით): განზრახულია ისტორიული მნიშვნელობის მქონე ყველა ქართული წარწერის სრული კრებულის შედგენა როგორც გამოქვეყნებული, ისე ახლად მოპოვებული მასალის საფუძველზე.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინსტიტუტი შეძლებისდაგვარად ცდილობს თავისი მუშაობის შედეგთა გამოტანას ფართო საზოგადოების წინაშე: მან უკვე გამოსცა თავისი შრომების ერთი ტომი („ქართული ხელოვნება") და, ამას გარდა, მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებათმეცნიერებათა განყოფილების ორი სესიაც მთლიანად ქართული ხელოვნების საკითხებს მიეძღვნა.

ჩვენი ინსტიტუტი ჯერ მხოლოდ იწყებს თავისი მუშაობის გაშლას. მისი დაარსება, ერთის მხრივ, უეჭველად მოწმობს ჩვენი ხელოვნებათმცოდნეობის გარკვეულ ზრდას: მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქართული ხელოვნების ისტორიას, როგორც მეცნიერულ დისციპლინას, მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა, მხოლოდ მას შემდეგ, როცა ახალგაზრდა მკვლევარნიც წამოიზარდნენ, შეიძლებოდა ასეთი მნიშვნელოვანი საკვლევაძიებო ცენტრის შექმნა. მეორეს მხრივ, მისი არსებობა მომავალი მუშაობის უფრო ფართოდ გაშლისა და გაღრმავების შესაძლებლობას ჰქმნის.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა მთელი თავისი მოღვაწეობა, თითქმის თავიდანვე, სამამულო ომის პირობებში ჩაატარა. ამ სამამულო ომის დროს, როცა ფაშიზმის ბნელი ურდოები მთელ ჩვენს სამშობლოს, მთელ ჩვენს ათასწლოვან კულტურას წალეკვას უქადდნენ, ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციისა და მეცნიერული გამოკვლევის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, უფრო გამახვილდა. და ინსტიტუტსაც არც ერთი წუთით არ შეუნელებია თავისი მუშაობის ინტენსიობა: მის კოლექტივს ძალას მატებდა და ჰმატებს იმის ღრმა რწმენა, რომ დაკისრებული საქმის შესრულებით მასაც შეაქვს თავისი წვლილი იმ დიდ საერთო საქმეში, რომელსაც დღეს, სამამულო ომის დროს, აკეთებს მთელი საბჭოთა მეცნიერება და საქართველოს ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მეცნიერებათა აკადემია.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ებაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, გ. ქიქოძე,
ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჟიჟორელი.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 18, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 8—47—10.

უე 9528

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.